პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 221 შაბათი, 26 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 26 ნოემბერი, 1921 წ. № 221

26 ნოემბერი
შაბათი

1905. ჯავშნოსან „ოჩაკოვ“-ის კომანდის აჯანყება სევასტოპოლში.

საბჭოთა საქართველოს მუშებს, გლეხებს, წითელ არმიელებს და ყველა მშრომელთ

ამხანაგებო!

მშრომელთა რევოლიუციის მტრებმა 4 წლის წინედ გამოსთიშეს ამიერ კავკასია მუშურ-გლეხურ რუსეთს.

მშრომელი ხალხის მტრებმა შემდეგ ამიერ-კავკასიის მთლიანი სხეული დაგლიჯეს ნაკუწებად და მიუგდეს გასათელად საერთაშორისო იმპერიალიზმს.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელი მასსები, ძმები მეფურ თვით-მპყრობელობასთან ბრძოლაში, ძმები ბურჟუაზიასა და მემამულეებთან ბრძოლაში მშრომელთა ძალა უფლებისათვის, აღმოჩნდნენ მომწყვდეულნი ნაციონალურ ზღუდეებში, ქართველ მენშევიკების, სომეხ დაშნაკების და აზერბეიჯანელ მუსავატელებისა რომელნიც მათ ერთმანეთს უსისინებდნენ.

ამიერ-კავკასია, მორწყული მუშების და გლეხების მთელი თაობის სისხლით, გარდაიქცა ძმათა მკვლელ ომის ასპარეზად ცალკე ბურჟუაზიულ რესპუბლიკების ნაციონალისტების და შოვინისტების გასახარებლად.

ნაციონალური და საერთაშორისო ბურჟუაზია, სთიშავდა რა ამიერ-კავკასიის ხალხებს, ბატონობდა პროლეტარიატსა და გლეხობაზე და მათ ამხედრებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ მშრომელთა ძალა-უფლებამ დაამსხვრია დამპყრობელთა და მატყუარების სისხლიანი უღელი. გამარჯვებულ ხალხების რკინის ცოცხმა გაასუფთავა ამიერ-კავკასია კონტრრევოლიუციისა და საერთაშორისო მტაცებლებისაგან.

მუშები და გლეხები შეუდგნენ დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატების მიერ მიყენებულ ჭრილობების განკურნებას.

წითელი არმია იარაღით ხელში სდგას პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, იცავს გლეხის შრომას მემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწაზე, მუშის შრომას, რომელიც იქცა ფაბრიკების, ქარხნების, რკინის გზების და მთელი წარმოების ბატონ-პატრონად.

სისხლიანმა დავამ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა შორის ადგილი დაუთმო ძმურ სოლიდარობას, ახლდება მუშების ერთიანობა სამეურნეო და სამხედრო ფრონტებზე ბრძოლის საქმეში.

მაგრამ უკუქცეულ, შორს გადასროლილ მტერს არ სძინავს. მათ შეკრეს მჭიდრო კავშირი ერთმანეთთან და ევროპის ბანკირების და მემამულეთა მთავრობებთან, მშრომელთა ხელისუფლების დამხობად ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელთა ხელახლად დასამონავებლად.

ჩვენი მტრების მჭიდრო კავშირს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა მჭიდრო კავშირი.

მუშების, გლეხების და წითელ-არმიელთა წითელი ფრონტი ღირსეულად უნდა დაუხვდეს შავ ფრონტს მენშევიკების, დაშნაკელების, მუსავატელების და მათი მფარველი იმპერიალისტებისას, რომელნიც მზად არიან თავს დაესხნენ საბჭოთა ამიერ-კავკასიას.

ჩვენი ძალა მუშების და გლეხების წითელ არმიაშია. ჩვენი ძლიერება მეურნეობის აღორძინებაშია ცალკე რესპუბლიკების ფრიად მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე.

ბაქოს ნავთის გარეშე შეჩერდებიან ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები; დადგებიან ან ცუდად იმუშავებენ ჩვენი რკინის გზები, გაძნელდება პურის მოზიდვა საბჭოთა რუსეთისა და საზღვარ-გარეთიდან.

ჩვენი დაუხმარებლად მეზობელ რესპუბლიკის მუშები და გლეხები დაიტანჯებიან, მათი ძალები შესუსტდება, შესუსტდება ჩვენი ფრონტი საერთო მტრების წინააღმდეგ.

ამიტომ საჭიროა ჩვენი რიგების, უფრო მეტი შემჭიდროება ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა უფრო მჭიდრო კავშირი.

ძალღონის გაერთიანება, საერთო საქმეების მმართველობის გაერთიანება გააადვილებს ჩვენი მრეწველობის, ჩვენი გლეხური მეურნეობის, ჩვენი ტრანსპორტის აღორძინებას და აყვავებას.

სამხედრო ძალების გაერთიანება ასჯერ უფრო მძლავრად გახდის თითოეულ ცალკე რესპუბლიკას.

ამ ჟამად სუსტი სამი რესპუბლიკის შეკავშირება გაამძლიერებს მშრომელთა საერთაშორისო რევოლიუციის კერასაც—საბჭოთა რუსეთს, რომელიც დაგვეხმარა და დაგვეხმარება მტრებთან ბრძოლაში, მჩაგვრელთა ძალა-უფლების დამხობისათვის ბრძოლაში.

ყველა თავიანთ საქმეებში დამოუკიდებელი რესპუბლიკები საერთოდ გადასწყვეტენ მხოლოდ იმ საკითხებს, რომელნიც შეეხებიან მტრებისაგან თავდაცვას და ბუნებით მდიდარი ამიერ-კავკასიის სამეურნეო განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

მშრომელთა შორის მიწის განაწილების საკითხს, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ უზრუნველყოფის, საკუთარი მეურნეობის წარმოების საკითხებს და ყველა შინაურ საქმეებს თითოეულ რესპუბლიკათა გადაჭრის დამოუკიდებლად, მშრომელთა ინტერესების მიხედვით და შინაურ მტრებზე გამარჯვების თვალსაზრისით.

მხოლოდ გარეშე მტრებთან საერთო ბრძოლის საკითხებს, ჩვენი ბუნებრივ სიმდიდრეთა უფრო ნაყოფიერ დამუშავების საქმეს გადაწყვეტს ის საბჭო, რომელსაც აირჩევენ სამივე რესპუბლიკათა რწმუნებულთა ყრილობაზე.

საბჭოთა აზერბეიჯანის და საბჭოთა სომხეთის მუშები და გლეხები სიხარულით ეგებებიან ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხების ასეთ ფედერაციას.

საქართველოს მშრომელნი, ეჭვს გარეშეა, უპასუხებენ, რომ ისინი მზად არიან გაერთიანებისათვის საერთო რევოლიუციონურ მუშურ გლეხურ ოჯახში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ქ. თბილისის რამოდენიმე ათას მოწინავე მუშას, რომლებმაც განიცადეს სისხლიანი ბრძოლა თვითმპყრობელობასა და მენშევიკური რეაქციასთან, თავის მხრივ მოუწოდებს საქართველოს ყველა მუშებს, გლეხებს, წითელ არმიელებს და ყველა მშრომელთ მჭიდრო შეკავშირებისათვის სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ძმებთან ბრძოლასა და შრომაში.

საბჭოთა ხელისუფლების წითელ დროშებ ქვეშ, **წინ გაერთიანებული რიგებით!**

გაუმარჯოს მეგობრობის, ძმობის და საერთო ბრძოლის ხელშეკრულებას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა გაერთიანებას!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნების პროლეტართა კავშირს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი.

24 ნოემბერი 1921 წ.

ქ. თბილისი.

გაერთიანებულნი გავემგზავროთ საბჭოთა ყრილობაზე

დეკემბრის თვისთვის დანიშნულია მოსკოვში საბჭოთა სრულიათ რუსეთის მეცხრე ყრილობა, რომელზედაც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს სტუმრებათ დამოუკიდებელ ძმურ რესპუბლიკებს, მათ შორის ამიერ-კავკასიისასაც.

მეცხრეჯერ იკრიბებიან უმაღლესი კანონმდებელი და აღმასრულებელი ორგანოები მშრომელთა დიქტატურის, გატარებული მუშაობის, მისი შედეგების შესაფასებლად და მომავალი გზის გასათვალისწინებლად. საანგარიშო ხანა, უკანასკნელი ყრილობიდან დაწყებული ვიდრე დღემდე, რომლის განმავლობაში მოღვაწეობის მოხსენებით უნდა წარსდგეს საბჭოს წინაშე ცენტრალური ორგანო საბჭოების, იყო განსაკუთრებული, ამდენხანს უჩვეულო ხასიათის, იმ ეკონომიური პოლიტიკის შეთვისებისა და გატარების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა მერვე ყრილობის შემდეგ. მხოლოთ სამი წლის შინაურ სამოქალაქო და გარეშე განუწყვეტელ სისხლიან ომების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა დაბოლოს მშრომელთა სახელმწიფოს ყურადღებისა და შემოქმედებითი ენერგიის ცენტრი გადატანილი ყოფილიყო ქვეყნის გაპარტახებული მეურნეობის აღდგენის და ეკონომიური ცხოვრების მოსაწესრიგებელ მუშაობაში. რევოლიუციონურ რუსეთისადმი მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ რეჟიმის კვლავ არსებობამ ირგვლივ და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებამ შიგნით განსაზღვრა გარდამავალი დროის ეკონომიური პოლიტიკა სოციალისტური ძალა-უფლების. მიმდინარე წელი იყო ამ ახალი პოლიტიკის გატარების დაწყებითი პერიოდი და ბუნებრივია მისწრაფება იმის ჯამის გამოყვანისა, რაც გაკეთდა და როგორც გაკეთდა, რათა დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვით შეფასებული გამოცდილება გამოსავალ წერტილად შეიქმნეს მომავალი ოპერაციებისათვის მშვიდობიან სამეურნეო ფრონტზე. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მომენტი, „ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინასწარი შედეგები“, როგორც ნათქვამია დღის წესრიგის ერთ პუნქტში, შეიქნება ერთი უმთავრეს და უმნიშვნელოვანესათ საბჭოთა მეცხრე ყრილობის მუშაობაში. კითხვები საერთო პოლიტიკური მდგომარეობის, შიგნით და გარეთ, სამხედრო, ფინანსების—ბიუჯეტის და ს. შ. შედგენენ განხილვის საგანს მომავალი სესიისას, რომელმაც ადგილობისათვის სახელმძღვანელო დირექტივებში უნდა ჩამოაყალიბოს ახლო წარსულის მდიდარი გამოცდილების ჯამიდან გამომდინარე მომავალი გეგმა, გამოქვეყნებული რევოლიუციონური პერსპექტივებით.

და წინაურ რიგის ქვეყნები გზის მაჩვენებელი არიან ჩამორჩენილებისა. საბჭოთა აღმშენებლობის და ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე წინ წასული, დიდი გამოცდილებით აღჭურვილი, რუსეთი მასწავლებელია ამ გზაზე ახლად შემდგარ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც ძმურ განწყობილებაში არიან მასთან და მჭიდროთ შეკავშირებულნი როგორც წარსული ბრძოლით, ისე მომავალის ბედ-იღბლით. ამიტომ და პოლიტიკურადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყრილობაზე დაწვევა სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწვეული რესპუბლიკების და მათ შორის ჩვენისაც, მეცხრე ყრილობა საბჭოების ხდება იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სწარმოებს წინასწარი მუშაობა ახლო მომავალში მათ შორის ფედერატიული კავშირის შეკვრისათვის. როგორც დიდი რევოლიუციის ინტერესები ჩვენ ფრონტზე, ისე ადგილობრივი აუცილებელს ხდიან ამ შეკავშირებას. რუსეთის საბჭოთა ფედერაციის უზენაეს ორგანოს, საბჭოთა მეორე ყრილობაზე პირველათ იქნებიან ერთად წარმომადგენილნი ჩვენი რესპუბლიკები და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ეს იქნება წარმომადგენლობა უკვე ამიერ-კავკასიის ფედერატიულ გაერთიანებაში შესულ საბჭოთა სახელმწიფოების.

თბილისის ორგანიზაციის 1-ლი რაიონის საზოგადო კრების რეზოლიუცია

(ა. წ. 23—24 ნოემბერს)

„მოისმინა რა მოხსენებები ამხ. ორახელაშვილის და ორჯონიკიძისა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო გაერთიანების შესახებ, თბილისის ორგანიზაციის 1 ლი რაიონის საზოგადო კრება იწონებს დადგენილებას ამ საკითხის გამო, გამოტანილს რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს, ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის, აგ. კომიტეტის პლენუმის და პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკების შეერთებული კრების და თბილისის ორგანიზაციის საერთო კრების მიერ.

ამასთან ერთად კრება ავალებს რაიონულ კომიტეტს და რაიონულ ორგანიზაციის თითოეულ წევრს ფრიად ენერგიულად აწარმოონ კამპანია მიღებულ რეზოლიუციების აზრით.

სრულიად რუსეთის მე-9-ე ყრილობა

მოსკოვი. 24 ნოემბერი, (რადიო) (დასაწყისი არ არი მიღებული)... აზერბეიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, შორეულ აღმოსავლეთის, უკრაინის და ხორეზმელის რესპუბლიკებს. სრულიად რუსეთის აღმასკომის პრეზიდიუმი გაცნობებთ, რომ 1921 წ. 20 დეკემბერს მოსკოვში დანიშნულია სრულიად რუსეთის საბჭოთა მე 9 ყრილობა და ამიტომ პატივი გვაქვს გთხოვოთ როგორც ძმურს და მეგობრულ რესპუბლიკებს, გამოგზავნოთ თქვენ წარმომადგენლები სტუმრების სახით.

სრულიად რუსეთის აღმასკომის თავმჯდომარე. **მ. კალინინი.**

მდივანი **ენუქიძე.**

კაპიტალიზმის სამყაროში

ამერიკა

ვაშინგტონის კონფერენციაზე.

პარიზი 23 ნოემბერი (რადიო). პარიზის გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები ვაშინგტონში იტყობინებიან, რომ ბრიანის სიტყვის ნაწილი, რომელშიდაც ის ახასიათებდა საფრანგეთის როლს ომის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლშევიკების პოლონელებზე თავზე დასხმის დროს, დაფარის განუწყვეტელი ტაშით. „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი აღნიშნავს ბრიანის განცხადებას, სადაც ის ლაპარაკობდა გარანტიების საკითხის შესახებ. „არავის არ შეეძლო ეჭვი შეეტანა ბრიანის სიტყვების მნიშვნელობაში—სწერს კორესპონდენტი—როდესაც მან სთქვა, რომ საფრანგეთი ადვილათ შეურიგდება ხმელეთზე თავის სამხედრო განმარტოებას, მაგრამ მას უნდოდა არ ყოფილიყო მარტო ზღვაზე. ინგლისის წარმომადგენელმა ბალფურმა სამართლიანად სცნო საფრანგეთის შეხედულება.

— **ნაუენი** 24 ნოემბერი (რადიო). ვაშინგტონის კონფერენციაზე მოულოდნელად გამოაშკარავდა, რომ საფრანგეთს განუზრახავს ძლიერი არმიის შედგენა ფერადი ჯარის კაცებისაგან.

საფრანგეთი

კომუნისტების არჩევა

პარიზი 23 ნოემბერი (რადიო). დატუსაღებული ორი კომუნისტის არჩევამ პარიზის მუნიციპალურ მრჩეველებათ, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გამოიწვია დიდი სკანდალი. დელეგატებმა შეიტანეს მთავრობაში შეკითხვა იმის შესახებ, თუ ამორჩეული დელეგატები რატომ არ გაანთავისუფლეს აქამდი. ამ შეკითხვამ დიდი ღელვება გამოიწვია დეპუტატთა პალატაში. კომუნისტი დეპუტატების ცხარე გამოსვლების შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა დისციპლინარულ სასჯელის ზომას კომუნისტების მიმართ და გამორიცხა ისინი სხდომიდან.

გერმანიის მუშების ბოიკოტი.

ნაუენი 24 ნოემბერი (რადიო). ჩრდილოეთ საფრანგეთის დანგრეულ ადგილებში ეწევიან ენერგიულ აგიტაციას, რომ არ იქნეს დაშვებული გერმანელი მუშები ამ დანგრეულ მიდამოების აღსადგენ სამუშაოებზე. ამასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქების მოურავებმა გამოუცხადეს მცხოვრებლებს, რომ არ მიიღონ გერმანელი მუშები სამუშაოებზე.

ნაუენი 24 ნოემბერი (რადიო). საზღვარ გარეთელმა კორესპონდენტებმა ინახულეს სამხედრო ქარხნები შპანდაუში. აქ საზღვარ გარეთელი კორესპონდენტები დარწმუნდნენ, რომ სამხედრო ქარხნები არ ამზადებენ საომარ საგნებს. ამ ტომ ფაქტები არ ამართლებენ ანტანტის დაჟინებით მოთხოვნას სამხედრო ქარხნების „დოიტშე ვერკის“ სახელწოდებით გაუქმების შესახებ.

ინგლისი.

კერზონი ზავის შესახებ აღმოსავლეთში.

ლონდონი. 7 ნოემბერი „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება: ლორდ კერზონმა, გუნარისთან შეხვედრის შემდეგ, ალბათ მტკიცედ გადასწყვიტა მიიღოს ყოველგვარი ზომები მტკიცე ზავის დასამყარებლად აღმოსავლეთში კერზონი ამასთან ფიქრობს, რომ ანტანტამ არ უნდა გადადგას არავითარი ნაბიჯი მანამდი, სანამ არ დარწმუნდებიან ანგორის პაციფისტურ განზრახვებში.

ოსმალეთი.

მუშათა მოძრაობა სტამბოლში.

სტამბოლი. „ილერი“ სწერს: სტამბოლში ხდება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიური მოვლენები; აღნიშნულია სოციალისტური გამოსვლები. ჩვენ ოსმალებს, ძალიან ჩამორჩენილთ მუშურ და პროფესიონალურ მოძრაობას. ჩვენ ბევრი მუშები გვყავს, მაგრამ ისინი არ არიან შეკავშირებულნი. ამიტომ ჩვენ ვერ შევსძელით პროლეტარიატის შეკავშირება ერთი მიზნის გარშემო და ვერ გამოვიყენეთ სათანადოთ ეს დიდი ძალა. ჩვენი კანონები სავსეა დეფექტებით და ანახრონიზმებით. ჩვენ არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდით სამუშაო ქირის, სამუშაო დღის და სხვა საკითხებს, ჩვენი კანონები არ იცავენ მუშებს, კანონების უქონლობის გამო ჩვენი მუშების ცხოვრება რჩება გაურკვეველ მდგომარეობაში. ჩვენ სოციალისტურ კავშირებმა თითონ არ იციან ისინი პარტია არიან თუ მუშათა სინდიკატები. ჩვენი კანონების დაუდევრობის მიზეზით, სამუშაოს მიმცემლების და მსხვილი საკონცესიო საზოგადოებების გამო მუშათა ცხოვრება იმყოფება საშიშ კრიზისში.

ქრონიკა

◆ **მუშათა ფაკულტეტზე.** დღევანდლამდის მუშათა ფაკულტეტზე ფაქტიურათ გამოცხადდა 250 კაცი, რომლებთანაც გამართულ იქმნა მიღების გამო საუბარი. ამ საუბარს მიზნათ ჰქონდა გამოერკვია რამდენათ მომზადებული არიან მსმენელები უმაღლესი სკოლის კურსის მოსასმენათ. ლექციის კითხვა და პრაქტიკული მეცადინეობა მუშათა ფაკულტეტზე დაიწყება 1 დეკემბრიდან, მსმენელების კონტინგენტის გამორკვევის და მათი ჯგუფებათ დაყოფის დასრულების შემდეგ.

◆ **სახ. სასურსათო კომ-სარიატის ბიულეტენი.** ამ დღეებში გამოვიდა სახალხო სასურსათო კომ. ბიულეტენი. ჟურნალი შეიცავს 32 გვერდს, არის ოფიციალური და არა ოფიციალური ნაწილი. შინაარსი შემდეგია: 1. მეტი ენერგია, 2 მტკივნეული საკითხი, 3. კავკასიის პირველ სასურსათო ყრილობის შედეგები, 4. საქონლის გაცვლა გამოცვლის შესახებ. 5. კოოპერაციის შესახებ დეკრეტების პროექტები, 6. დაუშვებელი საქციელი. 7. სრულიად რუსეთის სასურს. განმანაწ. ორგანოების მე 3 კონფერენცია. 8. სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობა. 9. სახალხო სასურსათო კომ—ის კოლეგიაში. 10. სახ. სასურ. კომ. დამამზადებელ მოღვაწეობიდან. 11. კოოპერაციის საქმეთა სამმართველოს მოღვაწეობა. 12. ბაზრის ფასების მოძრაობა. 13. ოფიციალური განყოფილება.

◆ **სანიტარიის უცოდინართა ლიკვიდაცია.** საქართველოს მედიკო-სანიტარულ შრომის კულტურული განყოფილება, თანახმად სრულიად საქართველოს მედიკო-სანიტარულ მუშაკთა ყრილობის უკანასკნელი დადგენილებისა, თბილისში აწყობს სპეციალურ სკოლას სანიტარიის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. მთელი კურსი ამ სკოლაში შესდგება 144 ლექციიდან. ვინაიდან განსაკუთრებულ პირობებში მუშაობა მედიკო-სანიტარულ დაწესებულებაში და არა აქვს შესაძლებლობა მედიკო-სანიტარულ მუშებს ყოველ დღიურად დაესწრონ სკოლაში მეცადინეობას მათი მუშაობის გამო, ლექციების კითხვა იწარმოებს დღე-გამოშვებით. სკოლისთვის ამორჩეულია შენობა ყოფილ ფერშლის სკოლის შენობის ერთ-ერთ კლასში. სკოლის გახსნის საკითხი სახალხო განათლების კომისარიატის მიერ საბოლოოთ გადაწყვეტილია.

◆ **რ. ს. ფ. ს. რ. საფერშლო სკოლები.** საქართველოს მედიკო-სანიტარულ შრომის კულტურული განყოფილების შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება რ. ს. ფ. ს. რ. ექიმების თანაშემწის მომზადების საქმე, რ. ს. ფ ს. რ. სრულიად მედიკო-სანიტარული შრომის კულტურულ განყოფილებისაგან მიიღო პასუხი, რომ ფერშლის სკოლები ჯერ-ჯერობით იქ არ უქმდებიან. მიღება მოსწავლეების პირველ კურსზე გრძელდება. სკოლის ფერშლები ხუთი წლის სტაჟით მიიღებიან განსაკუთრებულ სამ-წლიან კურსებზე, სამედიცინო ფაკულტეტის საგნებს მოკლე კურსის ცოდნით, ხოლო პირველ კურსზე მიიღებიან უსტაჟოთ. მესამე კურსზე ფერშლები მიიღებიან იმ პირობით თუ ეგზამენს დაიჭერენ ანატომიასა, ჰისტოლოგიასა, ფიზიოლოგიასა და ფიზიოლოგიურ ქიმიაში.

— **საბაჟოების გაერთიანება.** ამას წინეთ დახურულ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საბაჟოების კონფერენციის წევრები ბეგზადიანი და პ. ი. კალომენცევი გაემგზავრებიან მოსკოვში კონფერენციის მუშაობის რ. ს. ფ. ს. რ. სატარიფო დადგენილებასთან შესათანხმებლად.

— **ბათუმში.** 16 ნოემბერს ბათომის ნავთ-სადგურში მოვიდა 5 იალქნიანი გემი 943 ფუთ საქონლით; წავიდა 7, რომლებმაც წაიღეს 1330 ფუთი ნავთი, 200 ფუთი მაზუთი და 698 ფუთი სხვა და სხვა საქონელი. 17 ნოემბერს ნავთ სადგურში მოვიდა: რ. ს. ფ. ს. რ. გემი „იგნატი სერგეევი“ 3761 ფუთ საქონლით და 207 მგზავრით. და 8 იალქნიანი გემი—2860 ფუთ საქონლით. წავიდა 5 იალქნიანი გემი 1150 ფუთ საქონლით.

— **კონსტანტინეპოლის ბირჟის დახურვა.** მოკავშირეთა საოკუპაციო ხელისუფალთა განკარგულების თანახმად 25 ოქტომბერს კონსტანტინოპოლის ბირჟა დროებით დახურულია ვალიუტით ვაჭრობისათვის.

— **მოსავალი ზუგდიდის მაზრაში.** სექტემბრის და ოქტომბრის გლახა ამინდების გამო, გვიან დათესილი გაზაფხულის გვალვის შემდეგ სიმინდის მოსავალი ძლიერ დაზარალდა. ძალიან დაზარალდა აგრეთვე წვიმებით და სიცივეებით ყურძნის მოსავალიც, რომელსაც თავიდან კარგი პირი უჩანდა.

— **ხელოვანთა კავშირის წევრების საყურადღებოთ.** ამით ვაცხადებთ ხელოვანთა კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ ულუფა (პური) უკვე რიგდება 23 ნოემბრიდან და ვინც ჩაწერილია ულუფის მიმღებთა სიაში შეუძლიათ მიიღონ ულუფა ყოველ დღე 2-დან 3-მდე. ხელოვანთა სასახლეში, სერგეევის № 13

მთავარი კომიტეტი.

— **უცხო ენების კურსები** თამარ თაქთაქიშვილისა გადატანილია ახალ ბინაზე. ოლღას ქუჩა, 14. პირველ დეკემბრიდან შედგება ბავშვების ჯგუფი ფრანგულ და გერმანულ ენების შესასწავლად. ყველა ცნობები—კანცელარიაში 5—7 ს.

პატარა ფელეტონი

ჩემი პალტო

გაცვდა და გახუნდა ჩემი პალტო, აღარ ჩაიცმება. მეორე პირზე გადმობრუნებაც აღარ შეიძლება: ერთხელ უკვე გადავაბრუნე.

მერე რა მიქთით მქონდა შეძენილი ცხრა წლის წინათ, არ იტყვით? მხოლოთ მესამედი ფასი მივეცი შიგ. ეს მაშინ სულ ადვილი საქმე იყო: შევხვდებოდით პეტერბურგში მშვენიერ მაღაზიაში სამი კაცი; გამოვეწყობოდი თავიდან ფეხებამდი, გადიხდიდი მესამედ ფასს,—დანარჩენის კი ხელწერილს მისცემდი. თავდებათ ორი თანამხლებელი დაგიდგებოდა.

შემდეგ მეორე გამოეწყობოდა, ისიც მესამედს გადიხდიდა; ორ მესამედის ხელწერილსაც მისცემდა,—იმავე მხლებლების თავმდებობით. ასევე მოიქცეოდა მესამე...

ამნაირათ ერთი ხელი ტანისამოსის ფასით სამი კაცი შემოსილდებოდა ნისიათ. ვალის გადახდაზე კი არავინ დარდობდა ნისია შვიდი წლის ვადით ეძლეოდა, აბა ვინ სულელი გაუჩერდებოდა იქ შვიდ წელიწადს? ყველა ხომ [illegible] არ შედიოდა უნივერსიტეტში! ამ ხნის განმავლობაში ან კი გაათავებდა, ან დაანებებდა თავს, ანა და გამოაგდებდნენ უნივერსიტეტიდან. ამ სამში ერთი და ერთი მოხდებოდა. თუ არცერთი არა,—დატუსაღება და პეტერბურგიდან გადასახლება ხომ არ აშორდებოდა თავიდან.

ამიტომ იშვიათათ თუ ვინმე იხდიდა ამ ნისიას.

და აი, ამნაირათ შეძენილი ჩემი პალტო ყოვლად გამოუსადეგარი შეიქნა.

ჩემდა სამწუხაროთ, პატარა თვალსაჩინო თანამდებობაც მიკავია. აბა რა თვალით უნდა შემომხედოს ვისაც ჩემთან რაიმე საქმე აქვს? არ იფიქრებს,—„ამან მე რა ხეირი უნდა დამაყაროს, თავისთვის ვერაფერი სიკეთე უქნია“?

მაგრამ იძულებული შევიქენი მიმეღო ენერგიული ზომები პალტოს შესაძენათ. თან ზამთარი ახლოვდებოდა,

თანაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ყოველ წუთში შეეძლო უფასოდან ისეთ ფასიანათ ექცია პალტო, რომ ერთი წლის ჯამაგირიც აღარ მეყოფოდა მის საყიდლად.

გონების თვალით გადავათვალიერე ყველა მეგობრები, ვის რომელ დაწესებულებაში იმყოფებოდა და ვის შეეძლო ჩემთვის პალტოს გამოწერა. ასეთები ბევრი აღმოჩნდენ. რაიკომიდან დაწყებული პარტკომამდე ყველა ჩემი კაი მეგობრები იყვნენ.

ვარჩიე ვარჩიე და შევჩერდი სასურსათო კომისარიატზე. იქ მეგულებოდა გიორგი სტურუა, რომელთანაც ბევრი რამ საერთო მქონდა წინეთ. ძალიან კი მეხათრებოდა, მაგრამ, როდესაც გონებაზე ჩამოთოვა, დავაკრეფე მოთოლდება და გზა წიე კა დღეთა კომისარიატისაკენ. როდესაც ქალაქის რაიკომიდან ჩივაწიე,—შევჩერდი. იქიდან სამი გზაკვარის მეუძლია პალტოს გამოწერა მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ გავიხსენე, რომ პარტიის წმენდის დროთ და შარი არ მოსდევს ხელ-თქო.

სასახლეს რომ გაუსწორდი,—ყოყმანი ვიწყე. მაგრამ [illegible] შევალ; ბიოვული კაცია რესპუბლიკაში...,— რივა გოუდ ელდება ჩემთვის ერთი პალტოს გამოწერა მეთქი. მაგრამ მაშინ მომაგონდა, რომ ერთიც ის ყველა მთხოვნელებს უზრუნველყოფის კომისარიატს უგზავნის დასაკმაყოფილებლათ.

ხუთასის სასახლეს რომ გაუარე გვერდი, უკვე მომაგონდა, რომ იმას წინათ იქ ერთი გრუზოვიკი ფართლეულობა მიიტანეს—ეს ჩემი თვალით ვნახე. ნუ თუ ერთი საპალტოვე არ მომიჩუქნიდნენ?

მაგრამ, როდესაც წარმოვიდგინე ვირაპის ბუკუნდა ტანი,—იმედი გამიწყდა: ამა რადა გადაიჩებოდა ახალი კაცის მისი შემოსვლის შემდეგ? არც აქ გამოვა სიკეთე მეთქი, ვიფიქრე და გზას გავუდექ. შევიარე ცეკაში, რამდენჯერმე ბაზარ-ბაზრე ხდივების კარებს, შევალე კიდეც ნახევრად, მაგრამ შიგ შესვლა ვერ გავბედე: იმდენი ხალხი ცხვეოდა შიგ ოფისაში, რომ ჩემი პალტოსათვის ისინი შეწუხება უხერხულად ვცანი. სხვა გზა აღარ იყო, წავედი ისევ სასურსათო კომისარიატში გ. სტურუასთან.

გიორგიმ ღიმილით მიმიღო. სხვა კომისარიატის მიერ შეძენილი ხორბლით დატვირთული ვაგონი ჩავარდნოდა ხელში და ამიტომ კაი გუნებაზე იყო.

პალტოზე ლაპარაკი რომ დაუწყე, სიტყვა ბანზე აიგდო, მაგრამ მე სერიოზულად არ მეხუმრებოდა. როცა დარწმუნდა, რომ გასაქანი აღარ ქონდა, მომცა რჩევა-დარიგება, თუ როგორ მიმეღო პალტო, თან დამანამუსა, არავისთვის გამეხმაურებინა, თორემ მოსვენებას აღარ მომცემენო *) აუცილებელი ყოფილიყო ცეკასაგან განკარგულების ქაღალდის მოტანა.

გამოვბრუნდი ცეკაში, მაგრამ ამ საქმისთვის მიშას შეწუხება აღარ დამჭირდა,—ზარაპიშვილმა უსიტყვოთ გამიწყო ქაღალდი. ამ დღეს გიორგისთან მიბრუნება უკვე გვიან იყო. მეორე დღეს მე არ მეცალა, მესამეს—გიორგის არ ქონდა დრო. მეოთხე დღეს მომიწერა ხელი ცეკას განკარგულების ქაღალდზე და გამგზავნა ორდერის გასაცემ ოთახში, ამ დღეს ორდერი ვერ მივიღე, რადგან მისი გამომწერი არ იყო. მეორე დღეს ორდერის გამომწერი იყო, მაგრამ ველარ ვნახე ის, ვისაც ცეკას განკარგულების ქაღალდი ჰქონდა დატოვებული. მესამე დღეს ორდერი გამოვაწერინე, მაგრამ კანტროლში ვერ გავატარე. მეოთხე დღეს გიორგის ვეღარ მივუსწარი, რომელსაც კიდევ უნდა მოეწერა ხელი.

მეხუთე დღეს რომ მივედით, გაესწორო. მეექვსე, როგორც იყო მოვუსწარი და ამათ იყო ორდერი, საწყობში წასვლისა და პალტოს მიღების მეტი აღარა უნდოდა.

მაგრამ ამ დღეს უკვე გვიანი იყო, საწყობი დაკეტილი იქნებოდა. იმ ღამეს მოუსვენარი ძილი მქონდა. სულ ახალი პალტო მესიზმრებოდა. დილით მაინც საუცხოვო გუნებაზე ავდექი. მიუხედავათ იმისა, რომ თოვლი გორებიდან ქალაქის ქუჩებში ჩამოსულიყო და საშინელი პიჭყუნიანი დარი იდგა, მე მაინც თბილათ ვგრძნობდი თავს ახალი პალტოს იმედით.

საუბედუროთ კვირა დღე იყო და მიღება არ შეიძლებოდა. ორშაბათს დილით ადრიან გავექანე საწყობისაკენ. როცა შევედი შიგ, ისე შემომხედეს ყველამ, თითქოს მათი მოსისხლე მტერი ვიყო.

ამ დღეს დრო არა ჰქონდათ,—ფართლეულობას ერთი ადგილიდან მეორეზე აწყობდენ.

დამიბარეს მეორე დღის დილის 9 საათზე, მაგრამ ვერ მივუსწარი, რადგან წინადღით მოიგ პარტიულ კრებას დავესწარი, ჩვეულებრივათ გვიან გათავდა, ამიტომ დილით ძილს თავი ველარ ავართვი.

მესამე დღეს გავიგე რაღაც ჯლამაძე, როგორც „სპეცი" პალტოს გამორჩევაში. დიდი რჩევის შემდეგ შერჩეული გახდა წამომეღო ერთი სახელოებ მოკლე, წელ გრძელი, ბეჭებამდის უკან გაჭრილი, რაღაც უცხაურ მოდაზე შეკერილი პალტო.

საწყობში პალტოს რომ ვირგებდი ტანზე, რამდენი მეუბნებოდა, რომ ცუდათ გადგიაო, მაგრამ სარკის უქონლობის გამო მე არ შემეძლო დავრწმუნებულ ყავი ამაში. შინ რომ მოვედი და ჩავიხედე ტუალეტიდან ჩამოტანილ ჩემ დიდ კედლის სარკეში, მაშინ დავწმუნდი, რომ რადგანი ამეცრუდა და არ ავარჩევდა პალტოს უვარგისობას.

მკერვალს რომ მიუტანე გადასაკეთებლად, ნახევარი მილიონი მთხოვა.

ჩემი ჯამაგირის რაოდენობა მე კი არა, სტარიფო პალატასაც ვერ გამოურკვევია ჯერ. ამიტომ იძულებული ვარ პალტოს გადაკეთებაზე უარი ვთქვა. გადაუკეთებლად ჩაცმავა კი ყოვლად შეუძლებელია.

იცვე შენ, ჩემო ძველო, გახუნებულო პალტო! ერთგულად გამსახურე ცხრა წელიწადი,—მემსახურე მეათე წელსაც!..

ხ. თ—ია.

*) თუმცა ვარღვევ მიცემულ პირობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არავინ შეაწუხებს ჩას ამის შემდეგ.

ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-4 წ. თავი

(იხ. „კომ." № 220).

მისალმებანი.

ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის სახელით გამოდის ამხ. კილანტაროვი; ს. კ. პ. ც. კ. სახელით მისალმებით გამოდის ამხ. ორახელაშვილი:

თუმცა ბურჟუაზიამ მოახერხა პარიზის კომუნისტთა სისხლში ჩაეხრჩო მათთვის საჭიროში კომუნიზმის განხორციელების პირველი ცდა, მაგრამ ის, მაინც ევროპის ცივილიზაციის ნაწილში აღორძინდა კომუნიზმი. გადადის რა ახალგაზრდა კომ. როლზე, კომუნიზმის სიძლიერის შემქმნის საქმეში, ორატორი აღნიშნავს, რომ იოიოვლ ახალგაზრდა კომუნისტთა ძვლები ჩაყრილია იმ საძირკველში, რომელზედაც სდგას რ. ს. ფ. ს. რ. კომ. ახალგ. კავშირი და საქართვ. კომ. პარტია წარმოადგენენ ძაქს, ერთ დიდის რუს. კომ. პარტიის მეცლიდან გამოსულებს, ხოლო, რადგან ც დაიწყო სამეურნეო აღმშენებლობა, ეს კავშირი უნდა უფრო გაცხოველდეს. თავის სიტყვას ამხ. ორახელაშვილი ათავებს მისალმებით საქ. კომ. პარტ. საქარ. ახალგ. კომ. კავშ. რუს. კომ. პარტ. და კომინტერნისადმი.

საქ. კომ. პარტ. თბილ. კომიტ. სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ლ. დუმბაძე და უძღვნის მისალმებას საქართვ. და მთელი ქვეყნის კომ. ახალგაზრდობას.

ამხ. ვირაპი ესალმება ახალგ. კომუნისტთა კავშირს ს. პ. კ. ს. სახელით.

ამხ. ბღამიძეს მისასალმებელ სიტყვის შემდეგ, მისალმებით რუს. ახალ კომ. კავშ. სახელით გამოდის ამხ. ტარასოვი.

გამოსულ ამხანაგების სიტყვებს ჰფარავდა დამსწრეთა მქუხარე ტაში და ინტერნაციონალის ხმები, რომელსაც ასრულებდა ორკესტრი.

მისალმებების შემდეგ სხდომა გამოცხადდა დახურულად და ახალგაზრდა კომუნისტები ინტერნაციონალის სიმღერით სტოვებენ დარბაზს.

კარლ ლიბკნეხტის ძეგლის დადგმა

მიტინგის შემდეგ თეატრში ახალგაზრდა კომუნისტების კავშირი, აღმოსავლეთ ბრიგადის კურსანტები ეწყობიან შარიათინსკის დაღმართზე ალექსანდროვის ზემო ბაღში დადგმულ ხის კვარცხლბეკთან ლამაზულია კარლ ლიბკნეხტის სურათი. მის მარჯვენა მხარეზე იდგმება ახალგაზრდა კომუნისტთა საბჭოს დროშა. აქ იკრიბება ადგილს ახალგაზრდა კომუნისტთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ამხ. ძოლაძე მიმართავს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით, რომელშიაც ახასიათებს კარლ ლიბკნეხტის პიროვნებას.

ახალგაზრდა კომუნისტთა საბჭოს საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ტარასოვის სიტყვის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა ლიბკნეხტის დაუფასებელი ნამსახური მთელი ქვეყნის წინაშე, სიტყვას ამბობს თბილისის კომუნისტური პარტიის წევრი ამხ. ივანე ვ-კოვსკი. სიტყვა ეხება იმ ბრძოლის სიძნელეს, რომელიც გადაიტანა ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირმა საქართველოში 4 წლის განმავლობაში, და რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირმა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში.

საზეიმო სხდომა სახალხო სახლში.

საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა ამხ. ძოლაძემ ახალგაზრდა კომუნისტთა ცენტრალურ კომიტეტის სახელით. კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას. სამარისებური მყუდროება. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. პირველი სიტყვა ეძლევა საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ამხ. ბ. მდივანს, რომლის გამოსვლაც დიდ ოვაციებს იწვევს.

ამხ. ბ. მდივანის სიტყვა.

ამხანაგებო, ბრძოლაში და გამარჯვებაში, ნუ მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენი მოქმედების ოთხი წლის დღესასწაული დღე. ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებათ იქცა ის, რომ კომუნიზმისთვის არ არსებობს დაბრკოლებანი, რომ კომუნიზმი ყოველგან ვრცელდება და [illegible]. კომუნიზმი მედგრად მიილტვის წინ და მის ფეხქვეშ ქუცმაცდება ძველი დამარცხებულ მტრისა. ფართო ველებით, ძას მიჰყავს თავის თავთან აყვავებული ახალგაზრდობა, რომელმაც უნდა გამოაცოცხლოს ჩვენი სისხლი და შეგვცვალოს ჩვენ. სალამი თქვენ, მეგობრებო, მაგრამ მარტო მისალმებაში არაა თქვენი დანიშნულება. მე ვიხსენებ იმ გარემოებას, როდესაც გარემოცულ წყვდიადში ყოველ წუთში კანკალებდა თავის არსებობისათვის ახალგაზრდა თაობა და იტანჯებოდა მძიმე უღელ ქვეშ. ახლა, როდესაც მის წინაშე გახსნილია ყველა გზები, როდესაც ახალგაზრდობას შეუძლიან იგრძნოს იქ, სადაც ცხოვრება წყაროსავით სჩქეფს, მე შენატრით თქვენ. თქვენ ხედავთ და ფიზიკურადაც იგრძნობთ პროლეტარულ რეჟიმს, თქვენ ბედნიერი ხართ ჩვენზე, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ მით, რომ დავამსხვრიეთ და გავფანტეთ ბორკილები, რომლითაც ჩვენ შებოჭილი ვიყავით ფიზიკურად და სულიერად და თქვენ ბედნიერი ხართ ჩვენზე, იმიტომ, რომ თქვენ უფრო მეტი ყოლებით, ვიდრე ჩვენ, თქვენ უფრო მეტს მიიღებთ, რადგანაც თქვენ აღარ შეგხვდებათ ჩვენზე დაჭერილი ბალასტი გადაყრა. ეს ქვეყანა იოლეყოველ ძალით და ახალი ქვეყანა მიისწრაფის ახალი ცხოვრებისაკენ [illegible]ბიაკენ. ალიკიც ხერხულ საკითხები უნდა გადაწყვიტოთ ახრით და ჩვენი გულის სიმხურვალით. თქვენ ისა ხართ, რომელთაც უნდა აღუდგინ თავი, ტვინი, შეითვისონ მოძღვრება და საკითხები და მონახონ გზა მათ გადასაწყვეტათ.

პასუხისმგებლობა დიდია, მაგრამ დიდია ის დიდება, რომლითაც თქვენ ხართ მოცული. მე მახსოვს, როდესაც ახალგაზრდა კომუნარი მიისწრაფოდა ფრონტისაკენ და სიხარულით იგუნებოდა. ის იყო გატაცებული თავგანწირვის წყურვილით, სიკვდილის წყურვილით სავსე სიმღერით. ვუცქეროდით რა მათ, ჩვენ ვამბობდით: „ვერცერთი ქვეყანა ვერ შესძლებს არსებობას და ბრძოლას ამ ძალას, რომელსაც შექმნის მისი დგენა." საუკუნოთ იყოს სახსენებელი მათი, წმინდა და ძვირფასი ახალგაზრდებისა, რომლებმაც თავის სიცოცხლე შესწირეს რევოლიუციის საკუთრებას.

უსაზღვრო სიმამაცე—უდიდესი ახალგაზრდობის სტიქია. მაგრამ როდესაც ახალგაზრდა მებრძოლი იძულებულია ყოველდღიური რაოდენობის მოსაწყენი მუშაობა გასწიოს, მაშინ ხდება ენთუზიაზმისა და ძალღონის დაცემა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ ჩვენ დროებით გადავედით შეტევის ტაქტიკიდან ალყის ტაქტიკაზე. შეტევის დროს ახალგაზრდა სული აღფრთოვანებულია, ხოლო ალყის დროს, რომელიც ზოგჯერ მოსაბეზრებელია საჭიროა მოთმინება, შეურყეველი რწმენა გამარჯვების სიცხადისა და ურყევი რწმენა საბოლოო მიზნების მისაღწევად. საბოლოო მიზნების დაუძლეველობის შეგნების და რწმენის არსებობა ჩვენი ტაქტიკის დროულობისადმი მებრძოლი უკუაგდებს ყველა მეჭორეებს და მოღალატურ ქირქით მოსისინეთ. ალყის ასეთ მომენტში საჭიროა ვინტოვკის წმენდა და არა მით მოქმედება, რიგების დამწკრივება, და არა შეტევაზე მათი გადაყვანა. ასეთ მომენტში ჩვენ შეგნება გვიკარნახებს პროლეტარულ მეცნიერებით აღვჭურვით. მუშაობა ეს დიდია, სერიოზული, ხშირად მოსაწყენი, მაგრამ ეს საფუძველი ფონია, რომლის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთ. თქვენ უნდა შექმნათ პროლეტარულ ცოდნის ჭეშმარიტი საძირკველი, გამოარკვიოთ პროლეტარის გარშემო პირობები, გაასწოროთ პროლეტარული მოძრაობის შეცდომები და დაიჭიროთ ბურჟუაზიის საბოლოო გაკოტრება.

თუ ჩვენ შევძლებთ დიდ პროლეტარულ ლაშქრის შესაქმნელად ყოველ-დღიური მუშაობა ავიტანოთ, მე ვიტყვი, რომ პროლეტარულ ოჯახის ამოცანა გადაწყვეტილია. დეე იმითმითოთ და ისისინოს უცხოეთ ბურჟუაზიამ, დეე სთქვან, რომ ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც ვაკეთებთ. ეს იმას ამტკიცებს მხოლოდ, რომ ჩვენ მიზანში ვურტყამთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზია სასიკვდილო საშიშროებაში იმყოფება, მან განგაში ასტეხა. მაშასადამე მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ სძინავთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაც სამარეში ჩაიყვანს ბურჟუაზიას.

ჩვენი მიმდინარე პროლეტარული ტაქტიკა ამბობს: „უკეთესია წიგნს მოუჯდე, ვიდრე ბრძოლას ელტოდე".

კალამმა და ნამგალმა უნდა შესცვალოს ეხლა ხიშტი, რომლითაც გუშინ უპირდით ბურჟუაზიას. გულმოდგინე შეგნებული შრომა—ალყის ტაქტიკაა, აი რით გააკეთებთ მას, რაც თქვენ მოგეთხოვებათ.

ამხ. ტროცკის სიტყვა

პოლიტგანათლების განყოფილებათა მეორე ყრილობაზე

(დასასრული იხ. „კომ." № 220).

კომანდირთა შემადგენლობა იმყოფება ძალიან ცუდ მდგომარეობაში. მათი მდგომარეობის გაუმჯობესების ცდას ბევრი ეწინააღდეგება: „ეს პრივილეგიაა წითელ არმიელთან შედარებით". ამაზე მივაქცევ თქვენს ყურადღებას. ძირიან-ფესვიანად უნდა განხილული კომანდირის მდგომარეობის გაიანასწორება წითელ არმიელთან. წითელ არმიელი უნდა იყოს არმიაში 2 წელიწადი, ეს მისი სახელმწიფო ბეგარაა. კომანდირისთვის კი ეს არის პროფესია, ის არმიაში უნდა დარჩეს სამუდამოდ; ეს ითქმის განსაკუთრებით უფროსის კომანდირთა შემადგენლობაზე. მისი ოჯახი სცხოვრობს იმ სიღარიბით, რომლებშიაც ის იდებს, როგორც კომანდირი. ეს არ არის დროებით ვალდებულების ასრულება—ეს პროფესიაა. და აქ უნდა შევადაროთ კომანდირის და მისი ოჯახის მდგომარეობა წითელ არმიელის მდგომარეობას კი არა, არამედ მაღალ კვალიფიკაციურ მუშის მდგომარეობას იმავე მოთხოვნილებებით, რომლებიც შეეძლო წამოეყენებინა მას, რომ ყოფილიყო რომელიმე სხვა დარგში, როგორც სპეცი. ასეთ შემთხვევებში თუ არი ბიუროკრატიული ხერხები, ისინი უნდა აღმოიფხვრას, უნდა დაისაჯონ, მაგრამ დამოკიდებულება არმიისადმი უნდა იყოს ნათელი, გარკვეული და არ უნდა იქნეს რაიმე დემაგოგიური დამოკიდებულება, რომელსაც ხანდახან აქვს ადგილი.

წითელ არმიელთა მასსა ყოველთვის შეიგნებს თუ მას ვეტყვით პირდაპირ: „შენ გინდა ყავდეს კარგი კომანდირი, რომელიც არ იცვლება ყოველ 3 თვეში, რომელიც სისტემატიურად თავის საქმეზე შეიმეცნებს და შეუძლია გარანტია მოცემა, რომ ომის დროს არ გასწირავს წითელ არმიელებს უმიზნო სიკვდილის ტანჯვისთვის? მაშინ ეს სპეციალისტი უნდა იქნეს ნაყ ნებული არსებობის დამაკმაყოფილებელ პირობებში". უამისოდ ჩვენ ვერ მივამზადებთ კომანდირთა შემადგენლობას. ეს შეეხება იმ კომანდირთა შემადგენლობას, რომელიც გამოვიდა მუშებისა და გლეხების მასსებიდან და აგრეთვე იგივე ითქმის უფროს კომანდირთა შემადგენლობაზე, რომლის გადგმებას ჩვენ არ ვფიქრობთ, იმიტომ, რომ ის ჩვენთან მოდის და საჭიროა, მივაქციოთ მათ ყურადღება. უნდა ვიცოდეთ მათთან იდეიურად მისვლა და მათი მოზიდვა.

ეს შესაძლებელია—და ჩვენ ამისათვის გვაქვს კარგი საშუალება. ჩვენი გაზეთები სწერდნენ წიგნზე—„სმენა ვეხ"-ის შესახებ, რომელიც გამოვიდა პრაგაში, საზღვარგარეთ, და რომელიც დაწერილია ყოფილი თეთრ-გვარდიელების მიერ, რომლებიდანაც ერთი იყო კოლჩაკის მინისტრი, მეორე განაგებდა მის ჯარის საგიტაციო განყოფილებას და მესამე ამავე განყოფილებას მართავდა დენიკინის არმიაში: ესენი არიან—კლუჩნიკოვი, პოტეხინი და ბობრიშჩევ-პუშკინი. ყველა მათგანი კადეტებია და შეიძლება ყოფილი შავრაზმელებიც, ისინი არიან პატრიოტებია, ამ სიტყვის რეაქციონურ ბურჟუაზიული მნიშვნელობით. და აი, პატრიოტიზმის ნიადაგზე მდგარი, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის ხალხი—საბჭოთა ხელისუფლებაშია, რომ არავის არ შეუძლია დაიცვას რუსის ხალხის მთლიანობა და მისი დამოუკიდებლობა გარეშე ძლიერებისაგან თანამედროვე ისტორიულ პირობებში, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა და რომ უნდა მას დახმარება. რასაკვირველია, კომუნიზმისაგან ისინი ძალიან შორს არიან, მაგრამ ისინი მივიდნენ არა კომუნიზმით, არამედ საბჭოთა ხელისუფლებასთან პატრიოტიზმის გზით.

თუ ამას წაიკითხავთ, ადვილად დაინახავთ, რომ ისინი არ ჰკიდიან თავიანთ სულს და არ ჰფიქრობენ საბჭოთა მთავრობისაგან რაიმე გასამრჯელოს მიღებას. მათში ღრმა ერთგვარი იდეიური გარდატეხა პატრიოტიზმის თვალსაზრისით. ისინი გაჩერდნენ შუა გზაზე, მაგრამ იმ გზაზე, რომელსაც ისინი ჩვენსკენ მოჰყავს. ზოგიერთები ამ გზით განაგრძობენ შემდეგ წინსვლას და ეს ის გზაა, რომლითაც ჩვენ გვახლოვდებიან ძველი კომანდირთა შემადგენლობის საუკეთესო ელემენტები. საჭიროა, რომ ყველა გუბერნიაში იყოს „სმენა ვეხ"-ის თითო ეგზემპლიარი.

მე ვფიქრობ, რომ ეს წიგნი არ იქნება უკანასკნელი, ეს გარდატეხა ემიგრანტ-ინტელიგენციის პატრიოტიზმის შეგნებაში უკვე დაწყებულია. ახალ-ლოგიურ წიგნებს კიდევ გამოსცემს ეს ჯგუფი. და ეს ჯგუფი გამოხატავს ფართო გარდატეხას, რომელიც გამოწვეულია, შეიძლება ჩვენი სიმტკიცის გამო, ან იმით, რომ შევძელით გამაგრება, ან იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის განსახიერებაა. ეს საუცხოვო საჩუქარია ჩვენი ძველი სკოლის კომანდირთა ხელახლა აღზრდისათვის. უნდა ვიცოდეთ მისი გამოყენება ადგილებზე. უნდა მივმართოთ ასეთ წიგნების ციტატებს, აუხსნათ ის, ვაჩვენოთ, რომ ხალხი, რომელიც იდგა პატრიოტიზმის თვალსაზრისზე, და ცდილობდა ინტერვენციის საშუალებით, საზღვარგარეთ გადახვეწილი ემიგრაციის დახმარებით საბჭოთა რუსეთის დაცემას, დარწმუნდა, რომ ერთად ერთი ძალა ფილება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს რუსეთის ხალხის ეკონომიური და კულტურული განვითარება, არის საბჭოთა ხელისუფლება. ეს უნდა შევაგნებინოთ კომანდირთა შემადგენლობას. ამ მუშაობის შესრულება შეიძლება უმთავრესად არმიის შიგნიდან. მე არ ვიცნობ, რომ საგუბერნიო პოლიტიკურ განმანათლებელ ორგანოებს შეეძლოთ ამ საქმის შესრულება ან მთლიანად თავის ხელში მისი აღება. საგუბერნიო პოლიტიკურ-განმანათლებელ ორგანოებს აქვთ საერთო ამოცანები მთლიანად მთელ გუბერნიასთან. იმათ შეუძლიათ აღმოუჩინონ ამას უდიდესი დახმარება, მათ შეუძლიათ მისცენ მას ტონი ამ მუშაობაში ახალი ელემენტების შეტანით, თუნდაც იდეიური ელემენტებით წიგნი „სმენა ვეხი"-დან, რომ ამ გზით აზრდონ სამხედრო მუშაკები. მაგრამ მუშაობა წითელ არმიის კომანდირთა შემადგენლობის ხელახლა აღსაზრდელათ შეიძლება დასრულდეს მხოლოდ ყაზარმებში და სამხედრო ნაწილებში.

მე მინდა განსაკუთრებით ამას გაუსვა ხაზი. შეიძლება, ამხანაგებო, ამას ყველა არ ეთანხმებით, მაგრამ მე მაინც მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო შემდეგი: ახლა იმის თქმა, რომ ჩვენ მთელ მუშაობას ან მისი მთავარ ნაწილს არმიის პოლიტიკურათ აღზრდის საქმეში გადავიტანებთ პოლიტგანათლების ორგანოების საშუალებით, მე ვფიქრობ არ შეიძლება და აი, რატომ. ჩვენ არმია შეიქნით სამხედრო საგუბერნიო კომისარიატების დახმარებით. მათ ხელში იყო ყველაფერი. ისინი აწარმოებდნენ აღრიცხვას, მათში განათლება შექონდათ, აწყობდნენ აგიტაციას, ახდენდნენ გადარჩევას, ადგენდნენ, ასწავლიდნენ, ზრდიდნენ და ისინვე უქვედდნენ კომანდირობას. უწინ არმია სამხედრო საგუბერნიო კომისარიატების ხელში იყო. ეხლა კი ასე არ არის. არმიის უჯრედის ძირითადი ერთეული ეხლა არის დივიზია. არმია უკვე განაწილებულია სტრატეგიული მოსაზრებებით და არა საგუბერნიო სამხედრო კომისარიატების მიხედვით. ჩვენი სამხედრო საგუბერნიო კომისარიატების მუშაობის მეთოდები სავსებით შეიცვალა. ეხლა მათ დაკისრებული აქვთ აღრიცხვის და მობილიზაციის ფუნქციები.

არმიის ფაქტიური მართვა ასეთია: მთავარი მართველობა არის ოლქი, შემდეგ დივიზია, ბრიგადა, პოლკი. ამ ხაზით მიმდინარეობს არმიის აღზრდაც. ჩვენი საგუბერნიო სამხედრო კომისარიატები უწინ ამ რეფორმის წინააღმდეგი იყვნენ. მათ უნდოდათ რომ არმიის ხელმძღვანელობა გადაეცათ სამხედრო საგუბერნიო კომისარიატებისათვის. რასაკვირველია ამას რამოდენიმედ ექნებოდა მნიშვნელობა. მაგრამ საერთო სახელმწიფოებრივმა და საერთო სამხედრო მოსაზრებებმა გვაიძულეს ჩვენ მაინც ეს რეფორმა გაგვეტარებინა. აი რატომ არის, რომ თუ სამხედრო საგუბერნიო კომისარიატებს არ შეუძლიათ სავსებით აწარმოონ არმიის სამხედრო ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა გუბერნიის ფარგლებში, იმ შემთხვევაში საგუბერნიო პოლიტიკურ განათლების ორგანოებიც ვერ გაუძლებენ მარტო განკანაწილებელ და აღმზრდელობითი მუშაობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით მათი როლი მცირდება. მათ ხელში რჩება სამხედრო ნაწილების აგიტაციის წარმოების შესაძლებლობა და აგრეთვე, არ დავივიწყოთ ამას, მათ სამხედრო ნაწილების გარშემო ისეთი ატმოსფერა უნდა შექმნან, რომელსაც შეეძლება ამ ჯარის ნაწილის აღზრდა, გაწმენდა და მათში ჩანერგვა სამოქალაქო და სოციალისტური მოვალეობის მუშაობისა და გლეხების არმიაში მიზიდვის საშუალებით.

ჯერჯერობით, როგორც მე უკვე ვთქვი, ეხლა პოლიტიკურ მუშაობის მეთოდია. ყველა ამ ფუნქციების პერიოდი შეხდა იმ დროს, როდესაც არმიიდან დაიწყო მუშაკების წასვლა, ხდებოდა არმიის დემობილიზაცია და ჯარის ნაწილები ყურადღება ჰქონდა მიქცეული—და ის პოლიტიკური მუშაობის მეთოდება, რომელსაც უწინ დროებით ადგილი აქვს ეხლა არმიაში, ვერავითარ შემთხვევაში იმ ფაქტით ვერ ახსნება, რომ არმიის პოლიტიკური სამმართველოდან და მის ორგანოებიდან ბევრი ფუნქციები გადავიდა მთავარ პოლიტიკურ განმანათლებელ ორგანოებზე. ითითმის ყველა ცოტათ თუ ბევრათ მოხელამ და აგრეთვე უკვე მოდიონიერებულ ახალმა ორგანიზაციებმა კიდევ უნდა გაამართლონ შემდეგში თავის არსებობა. ეს საკითხი ჯერ ცხოვლად წამოყენებული; ეს საკითხია გუბერნიაში სამხედრო განმანათლებელი და საერთო განმანათლებელი მუშაობის ერთად შეერთება, რომელმაც შემდეგში საქმით უნდა დაამტკიცოს თავის არსებობის სარგებლობა.

არ დაგიფარავთ, რომ სამხედრო უწყება და მე კერძოთ, ვიქნებით ძალიან მიზეზიანი კრიტიკები, შეიძლება ხანდახან უსამართლოც და ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ გამოვალთ როგორც ძალზე მოუთმენელი მოპასუხე წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ და ამ ხაზებს მივმართავთ იმიტომ, რომ უნდა დავიცვათ არმიისათვის იდეიურათ პოლიტიკურად მომუშავე ძალები. ამ თვალსაზრისით დიდ მღელვარებას კომუნისტ მუშაკების ის ცვლა ყველა ორგანიზაციებში და განსაკუთრებით კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებაში ის ერთი მეორის შეცვლა, რომელიც ხდება ეხლაც. ამას წინათ „პრავდაში" წავიკითხე ამხ. ხაბეევის მშვენიერი წერილი, სადაც ის ლაპარაკობს არმიის შემადგენლობის შემცირების შესახებ. ყველა გამგეებიდან, მდივნებიდან და სხვა, ზოგიერთი იძახებიან სხვაგან, ან მობილიზაციაში ხვდებიან, სხვები თავის ნებით მიდის და სხვ.

ამხ. ტროცკი კითხულობს წერილს და შემდეგ განაგრძობს.

— ყველაფერი ეს სავსებით საშიშროა არმიაში განმანათლებელ მუშაობისათვის. და მე ვფიქრობ—ყაზარმაში შერბენა, იქ სიტყვის თქმა და მერე გამოქცევა—ეს არ არის განმანათლებელი მუშაობა. უნდა იცნობდე ყაზარმას შიგნიდან, უნდა ქონდეს დაკვირვებით გამოცდილება, უნდა იცოდე როდის რის თქმაა საჭირო, ამისთვის კი აუცილებელია მუშაკების ჯარიან მიმაგრება უფრო ხანგრძლივათ. ეს არის ყოველგვარი გამარჯვების თავდები. განმანათლებელი მუშაობა ამ ჟამათ უნდა იყოს მჭიდროთ დაკავშირებული წითელ არმიელის კვალიფიკაციასთან, უნდა გაუღვიძოთ მას სამხედრო საქმისადმი ინტერესი, აღვზარდოთ მასში სოციალისტური მოქალაქე, ჩაუნერგოთ მხედრის პატივმოყვარეობა. ეს ძალიან რთული მეთოდებია. მე მივიღე ეხლა ინსპექციის ანგარიში ქ. კასტრომის ჯარის ერთი ნაწილის შემადგენლობის შესახებ. მე თქვენ აქედან წაგიკითხავთ ერთ ადგილს (კითხულობს).

მე თქვენთვის კიდევ მინდოდა მეთქვა, რადგანაც ვამბობდი კომანდირთა შემადგენლობისათვის ადამიანურ პირობების მინიმუმის შექმნის შესახებ, რომ ყველაფერი ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების ყურადღებას მიქცევით. ჩვენ ეს საკითხი რამოდენიმეჯერ განვიხილეთ, გავატარეთ სხვა და სხვა რეფორმები, სახალხო კომისართა საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საშუალებით შეღავათს ვაძლევთ მათ და ეს რეფორმებიც და შეღავათებიც უმთავრესად გამოიხატებოდა ჩვენ საბჭოთა ფულში, ე. ი. ფაქტიურათ არ იღებდა არავითარ გამოხატულებას.

რა უნდა ვქნათ? რომ მოხდეს მატერიალური გაუმჯობესება, საჭიროა იმ ორგანოებმა, რომლებიც განტონვებულნი არიან ადგილებზე, მოახდინონ კომანდირთა შემადგენლობის შეცვლა და მთლიანად სამხედრო ნაწილების განაწილება. ჩვენ ვყავდეთ რამოდენიმე დივიზია მიგვეწერა უფრო გაძლიერებულ საბჭოებზე; მაგ. მოსკოვის საბჭოს მიეწერა ორი დივიზია და ისინი ამის შესახებ არ ჩივიან. მოსკოვის საბჭოდან მათ ცოტა რიგათ ეხმარება როგორც მატერიალურათ, ისე სულიერი მხრით, განსაკუთრებით მუშაკების მხრივ და ჩვენ, სამხედრო რევოლუციონურ საბჭოში იმ დასკვნამდე მივედით, რომ აუცილებლათ უნდა აღვძრათ საბჭოების და აღმასრულებელი კომიტეტების ასეთი შეძავრება მათზე სამხედრო ნაწილების მიწერისათვის. რასაკვირველია, ყველა საბჭოს არ ეყოლება ორ-ორი დივიზია. სამაზრო

გაუმარჯოს სწრაფვას პროლეტარულ რევოლიუციის შეგნებისთვის. გაუმარჯოს ყოველდღიურ შრომას.

ძლიერი ტაში და ალფრთოვანებული ვაშა ფარავს ინტერნაციონალის ხმებს.

შემდეგ ლაპარაკობენ ამხ. ყურულაშვილი ს. პროფკავშირის სახელით, ამხ. ქურიძე პოლიტგანათლების მთ. მმართველობიდან თბ. ორგანიზაციიდან ამხ. ოკინი და საბჭ. კ. კ. ც. წარმომადგენელი ამხ. ძნელაძე.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ბათომის ქარხნების იჯარით გაცემა.

ბათომში იჯარით გაიცა საუკეთესო ბიტონების დამამზადებელი ქარხანა „მარსი“, სადაც კეთდება ნავთის ბიტონები თეთრი თუნუქიდან საზღვარ გარეთ გასაგზავნათ. ქარხანა სხვათა შორის სანავთო კომიტეტის დანაკვეთს ასრულებს 75,000 ბიტონს. ყოველდღიურად განსაზღვრულია გაკეთდეს მინიმუმი 4.000 ცალი.

ასეთივე ხელშეკრულება დადებულია მეორე მოიჯარადრესთან ბიტონის წარმოებაზე, რომელიც მოვალეა 20 დღის განმავლობაში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან მოაწყოს სახელოსნო უმოქმედოთ და უხმარებლად მდგარ სხვა და სხვა დაზგებისაგან, შტამპებისა და სხვა ხელსაწყოებისაგან, რომელსაც მის ცემს ბათომის სახალხო მეურნეობის საბჭო, ამასთან ყველა ხარჯს როგორც მოსაწყობად, აგრეთვე ექსპლოატაციისთვის უწევს მოიჯარადრე.

ბათომშივე გაიცა იჯარით კარგად მოწყობილი ბოჩკების დამზადებელი ქარხანა, რომელიც სანავთო კომიტეტის დანაკვეთს ასრულებს 50,000 ბოჩკას, ყოველ დღე არა ნაკლებ 100 სა.

კერძო მესაკუთრეთა საზღვაო ტრანსპორტის შესახებ.

საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება (№ 100 18 ნოემბერი), კერძო მესაკუთრეთა საზღვაო გემების მუშაობის მოწესრიგების შესახებ. დადგენილება დასაბუთებულია შემდეგი მიზნებით: საზღვაო ტრანსპორტის დაცვა სათანადო მდგომარეობაში და მისი მუშაობის გამოყენება რესპუბლიკის ინტერესებისათვის“. კერძო მესაკუთრეთა ტრანსპორტი ვერ იქნება გამოყენებული რესპუბლიკის ხელის უფლების წარმომადგენლებიდან თუ არ იქნა სახელმწიფო სატრანსპორტო სამმართველოს სათანადო მოთხოვნა. ამ მოთხოვნებით შესრულებულ მუშაობის ანაზღაურებლად წესდება ტარიფები, რომლებსაც შეიმუშავებს სატრანსპორტო სამმართველოსთან განსაკუთრებული თათბირი კერძო ტრანსპორტის წარმომადგენლებთან ერთად. გემები, რომლებიც აწარმოებენ სასწრაფო რეგულიარულ მიმოსვლას, არ შეიძლება ჩამოშორდეს თავის დანიშნულებას თუ არ იქნა რაიმე უკიდურესი საჭიროება.

შემდეგ დადგენილების თანახმად, კერძო მესაკუთრეთა ტრანსპორტის მოსამსახურენი, თავისუფლდებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურიდან, სანამ ისინი იმყოფებიან ტრანსპორტში. იმ შემთხვევაში თუ ისინი დაითხოვეს სამსახურიდან და მათი ერთი წლის მოქალაქეები კიდევ ჯარში ირიცხებიან, დათხოვნილები უნდა გადაეცეს სამხედრო ხელის უფლების განკარგულებაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 101

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა შოთა რუსთაველის თეატრის შესახებ.

საქართველოს დიდებული მგოსნის შოთა რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. სახელმწიფო დრამის თეატრს (ყოფილი არტისტიული საზოგადოების თეატრი) ეწოდოს „შოთა რუსთაველის თეატრი“.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **გ. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 25.

ტფილისი-სასახლე.

ბრძანება № 89.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

რადგანაც დიდი საჭიროებაა—წითელი არმიის სამხედრო ნაწილებისათვის ლაშქრის სამგზავრო ქვაბები მომარაგებულ იქნეს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ბრძანებს:

1. ჩამოერთვას ყოველ სამოქალაქო დაწესებულებას და კერძო პირს, გარდა სამხედრო უწყების საწყობებისა,—ლაშქრის სამგზავრო ქვაბები ყოველგვარი სახისა და ჩაბარდეს სამხედრო უწყებას.

2. ყოველი სამოქალაქო დაწესებულება და კერძო პირი ვალდებულია, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, ამა ბრძანების ადგილობრივად გამოქვეყნების დღიდან, ჩააბაროს ზემოხსენებული სახის ქვაბები მაზრის სამხედრო კომისარიატს ან სამხედრო უწყების სათანადო ორგანოს.

დამნაშავენი ამ ბრძანების აღუსრულებლობისათვის მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი. **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 9.

თბილისი სასახლე.

დადგენილება № 98.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა— რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე, ყოფილი სახაზინო სავაჭრო ადგილების ქალაქთა რევოლიუციონური კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ.

1. რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე ყოფილი სახაზინო სავაჭრო ადგილები, სახელდობრ: სახლისა და დუქნის ადგილი, ბაღი და საბაღე ადგილი, რაც იჯარით გაიცემა ხოლმე, გადაეცეს სათანადო ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტის გამგებლობას.

2. თბილისში მდებარე სახლები: პეტრე დიდის ქუჩაზე № 22, დიდი მთავრის ქუჩაზე —№ 24, ოლღას ქუჩაზე—№ 66 და აგრეთვე თბილისის გუბერნიის ყოფილ თავად-აზნაურთა ქარვასლა გამოყოფილ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან და გადაეცეს თბილისის ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტს.

3. თბილისის ნაციონალიზაციაქმნილი გოგირდის ყველა—აბანო თავისი კუთვნილებით—ადგილით და შენობებით აგრეთვე გადაეცეს თბილისის ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის გამგებლობას.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 15.

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 100.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

კერძო მესაკუთრეების ნავ-ჭურჭელთა მუშაობის მოწესრიგების შესახებ.

კერძო მესაკუთრეთა საზღვაო სატრანსპორტო ფლოტის სათანადოდ დაცვისა და მოვლისათვის და რესპუბლიკის ინტერესების მიხედვით მისი მუშაობის რაციონალურად გამოყენების მიზნით, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საზღვაო სატრანსპორტო ფლოტის ნავ-ჭურჭელი, რომელიც კერძო პირს ეკუთვნის, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, რა სამუშაოსათვისაც უნდა იყოს,—უკეთუ საამისოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობისაგან განსაკუთრებული დანიშნულება არ აქვს მიცემული.

2. ამა დანიშნულებისამებრ მუშაობის შესრულებისათვის ნავ-ჭურჭლის მესაკუთრენი სასყიდელს მიიღებენ იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნება საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბიროს მიერ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნავ-ჭურჭელთა მესაკუთრენი (ან მათი წარმომადგენელნი) და წყლის ტრანსპორტის მუშათა ცენტრალური კავშირის ორგანოები.

3. ის ნავ-ჭურჭელი, რომელიც ვადიან-რეგულიარულ მიმოსვლას აწარმოებს, აცილებულ არ უნდა იქნეს არც დროსა და არც თავისი რეისის მიმართულებას, უკეთუ განსაკუთრებით უკიდურესი საჭიროება არ იქნება.

4. ნავ-ჭურჭელი, რომელიც დანიშნულებისაგან მოცლილია, შეიძლება დაუბრკოლებლივ გამოყენებულ იქნეს მესაკუთრის მიერ ყოველგვარი კერძო ხასიათის გადაზიდვისათვის.

5. ნავ-ჭურჭლის მესაკუთრე, რომელიც განზრახ განერიდება დანიშნულების აღსრულებას, მიცემულ იქნება პასუხისგებაში სასამართლოს წინაშე.

6. ნავ-ჭურჭლის ეკიპაჟის შედგენილობის პირნი, რომელთა ტოლნი გაწვეულ არიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში, თავისუფალ უნდა იქნენ ამა გაწვევისაგან მთლად იმ დროის განმავლობაში, რაც ნავ-ჭურჭლის სამსახურში ირიცხებიან; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დათხოვნილ იქნებიან აქედან,—გადაეცემიან სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში, უკეთუ ამ დროისათვის მათი ტოლნი სათადარიგოდ არ არიან გაშვებულნი.

7. ამა დადგენილების განვითარებისათვის საზღვაო ტრანსპორტის უფროსს უფლება ეძლევა გამოსცეს წესები და ინსტრუქციები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1921 წლის 25 დეკემბრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ—მომხ. ამხ. მამია ორახელაშვილი.
2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.
3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერნთან—მომხ. ამხ. ნაზარეტიანი.
4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხ. ამხ. ტოროშელიძე.
5) საადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ფილიპე მახარაძე.
6) კოოპერაცია—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.
7) სასურსათო პოლიტიკა—მომხ. ამხ. ერქომაიშვილი.
8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. მდივანი.
9) ეროვნული საკითხი საქართველოში— მომხ. ამხ. ორჯონიკიძე.
10) პარტიულ ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხ. ამხ. დინენკო.
11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.
12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.
13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.
14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.
15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითოეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრსა და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დინენკო.**

საქმის ჩვენ გაუგზავნით პოლკს ან ბატარეას, საგუბერნიო საბჭოს მივცემთ ბრიგადას და ვინც კი შესძლებს დივიზიას.

ეს ახლა უფრო მეტად არის შესაძლებელი იმის გამო, რომ ჯარის ნაწილები სტაციონურათაა განაწილებული და ახლო მომავალში დაიწყებენ უფრო დაფუძნებულ ცხოვრებას. მაშინ ადგილობრივ საბჭოს არსებულ წესების ფარგლებში შეუძლია ბევრის გაკეთება როგორც მათ სულიერ აღზრდის საქმეში, ისე ჯარის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მაგალითად ვოლგის მხარეს, სადაც ყაზარმების შეკეთება შესრულებულია სამი მეოთხედი ადგილობრივ საბჭოების, პარტიული ორგანოების და სხვ. დახმარებით, ცენტრმა მიაწოდა ძალიან ცოტა. ეს განაცხადა იმავე ვოლგის მხარის ჯარების სარდალმა, რომელიც ჩიოდა განმანათლებელ მუშაობის შესახებ.

მე პირადათ ვფიქრობ, რომ ამ სახით შეიძლება ძალიან ბევრის გაკეთება და აქ საკითხი მდგომარეობს აგიტაციის გაძლიერებაში. დეე, ყოველმა სამაზრო ქალაქმა, სადაც არსებობს მაზრის ხელისუფლების უფრო ძლიერი ორგანო, ოლქის ჯარების სარდალთაგან შეთანხმებით, მიიმაგროს თავის თავზე სამხედრო ნაწილები და ამით მოიგებს როგორც ჯარის ნაწილი ისე ადგილობრივი საბჭო.

ეხლა მე განვაგრძობ აგიტაციის ახალ მეთოდობის ანგარიშის კითხვას (კითხულობს). აქ პოლიტიკურ—აგიტაციური გავლენა ნამდვილ დრამატიულ ფორმაში შეერთებული იყო მანევრებთან, წითელ არმიელების ტაქტიკურ და სტრატეგიულ სწავლასთან; ეს კიდევ უფრო ძლიერად მოქმედობს ვიდრე რომელიმე სააგიტაციო სიტყვა და შეიძლება განვახორციელოთ ადგილობრივ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მონაწილეობით.

ამასთან დაკავშირებით გადმოგცემთ ორი სიტყვით იმ მანევრების შესახებ, რომლებსაც მე თვალყურს ვადევნებდი კიევის მარჯვენა ნაწილში. აქ გამოჩნდა წითელი არმიის სუსტი და ძლიერი მხარეები, როდესაც რუმინეთი ძლიერად შეიჭრა და პოლონეთი კი თითქო იმუქრებოდა, გადაწყვიტეთ კიევის მარჯვენა ნაპირზე მოგვეხდინა მანევრები. იქ კარგი ნაწილები იდგენ, იყო ბევრი კურსები, იყო ცხენოსანი ჯარი, სულიერი განწყობილება საუცხოვო სუფევდა. როდესაც საქმე მივიდა ორი რაზმის შეტაკებამდი, ორივე მხარეს ეგონა, რომ ისინი რუმინეთთან ომის წინ დგანან და მოგვიხდა მათი გაშველება. ეს მოწმობს სამხედრო სულის ამაღლებას. მონაწილეობას ღებულობდნენ თითქმის განსაკუთრებით ახალგაზრდა ძალები. ამ მანევრების დროს გამოჩნდა საუცხოვო სულიერი განწყობილება, დიდი სამხედრო გატაცება და საშინელი მოთმინება; მათ დიდი მანძილის გავლა მოუხდათ ქვეითად (ჩვენი მიმოსვლის აპარატი კოჭლობდა) დღით და ღამით. კომანდირთა შემადგენლობის ოპერატიული მოფიქრება ძალიან განვითარდა. მაგრამ არ კმარა თუნდაც მარტო გენიალური პლანი. მისი სისრულეში მოყვანისათვის საჭიროა მთელი რიგი დეტალების ყურადღების მიქცევა, უნდა მოაწყო კავშირი, დაზვერვა, დაცვა, ადგილის შესწავლა და სხვ. ამ ნაწილში ჩვენ უფრო სუსტი გამოვდექით ვიდრე სტრატეგიაში. და სხვათა შორის ამაში მდგომარეობს სამხედრო საქმის არსებითი მხარე.

ხანდისხან საუკეთესო პლანი წვრილმანების უყურადღებობის გამო შეიძლება სრულიად უქმად ჩავარდეს.

თუ გადამწერები გადასწერენ საუკეთესო ბრძანებას შეცდომებით მთელი ოპერაცია ჩაიფუშება. ასეთი შეცდომები სწყვეტს ხშირათ ბრძოლის ბედს. რომ ნაპოლეონს უყურადღებო გადამწერები ყოლოდა, ის წააგებდა თავის ბრძოლების ნახევარს. როდესაც ბრძანება გადაწერილია შეცდომებით ან უმისოთ, იმას აგზავნიან სათანადო შტაბში მაგ. მოტოციკლეტით. მოტოციკლეტი გაივლის ორ ვერსტს და ბასტა—ის ადგილიდან აღარ იძვრის სათანადო ნაწილებმა არ იციან მთავარ ბრძანების შესახებ, ისინი იწყებენ შეტევას მარცხენა ფლანგზე, მაშინ როდესაც მათ არ იციან სარდალის პლანები, რათ ღირს საუცხოვო აზრი ან ბრძანება თუ ის არ ჩააბარეს დანიშნულ ადგილს?..

თავის თავად იგულისხმება, რომ თუ მოტოციკლეტი ცუდია, ბრძანება უნდა გაიგზავნოს ცხენით ან ავტომობილით და ამ ნაირათ ბრძანების ჩაბარება იქნეს უზრუნველყოფილი. ეს უკვე დეტალების ყურადღების მიქცევაა,—იმ დეტალების, რომლებიდანაც შედგება სამხედრო საქმე, ეს არის სამხედრო წესდებისადმი ყურადღება, რადგანაც წესდება არის წარსულის თავმოყრილი გამოცდილება. ჩვენ არმიაში კი, უნდა გამოვტყდეთ, ბევრი ამას არ დაგიდევთ. წესდებას ზიზღით ექცევიან, მაშინ როდესაც წესდება სამხედრო გამოცდილების ძარღვია, ეს სახელმძღვანელოა იმისათვის თუ როგორ უნდა აწარმოვო ომი, წარსული ომების მიხედვით. ამავე დროს კი ბევრი ამტკიცებდა, რომ წესდება მკვდარი ანბანია, რომელიც ხუთავს რევოლიუციონურ თავისუფლებას. ეს ლაყბობაა, ამას თქმა არ უნდა.

აი, ეხლა კი საუკეთესო მეომრები და მეოპრები კომუნისტები იწყებენ სამხედრო წესდების შესწავლას და ზეპირობენ მას ომში გამოცდილებით, ზეპირობენ მას შემდეგ, როდესაც დაინახეს მისი აუცილებელი საჭიროება. სამხედრო წესდება ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობის, სადაც დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ბევრ შეხედულებებს, რომლებიც ასე ზერელედ უყურებს საკითხს. „სახელდახელოდ“ შეტევას ან „რევოლიუციონური მეთოდი“, რომლებსაც ეხარებათ სამხედრო წესდებები, ბრძანებები და სხვ., უნდა შევებრძოლოთ დაუნდობლად. ეს ნაწილია ასეთივე აღმზრდელობითი მუშაობის, როგორიც არიან მუნდირის ფოლაქების, ამუნიციის გაწმენდა და სხვ. და ეს სამუშაო უნდა შევასრულოთ.

ორი სიტყვა მე მინდა ვთქვა ფლოტის შესახებაც. მისი მდგომარეობა მძიმეა. ის, ინგლისის ზღვებზე ბატონობის გამო კიდევ უფრო შეზღუდულია ვიდრე არმია. ჩვენი ფლოტი მინიმუმამდი დავიდა; მან გადაიტანა კრონშტადის აჯანყება. ჩვენ ვერ ვამჩნევთ იმას, რომ ამ ჟამათ სიტყვა „კრონშტადი“ ლიტერატურაში, გაზეთებში, ნიშნავს არა სახელს სიმაგრის ან იმ ადგილისას სადაც დაიბადა საბჭოთა ძალაუფლება, არამედ შეიქნა კონტრ-რევოლიუციონურ წვრილ ბურჟუაზიის სტიქიის ბრძოლის სინონიმი, კრონშტადელი მეზღვაურები ამას კითხულობენ ყოველ დღე. რასაკვირველია, ეს ყველაფერი დროებით ართულებს ფლოტის აღდგენის საკითხს. მე ვთქვი, ახლო მომავალში როგორ უნდა წავიდეს ჩვენი ბრძოლის განვითარება და მოგვიხდება თუ არა ჩვენი თავდაცვითი მდგომარეობის დროს ხმელეთით სამხედრო ძალებით დაკმაყოფილება, ამის თქმა ძალიან ძნელია. რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ ისეთი ფლოტის შექმნაზე, რომელიც საჭირო იქნება შეტევის დასაწყებათ. ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ნაპირების დაცვაზე და მაშასადამე ფლოტს უნდა ჰქონდეს წმინდა თავდაცვითი ხასიათი. ამიტომ ფლოტის გული ჩვენ უნდა შევქმნათ საუკეთესო მეზღვაურებიდან. აქ კვალიფიკაციას უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ვიდრე არმიაში. კარგი მეზღვაურის ყოლა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე კარგი ქვეითა ჯარის კაცის, არტილერისტის და კავალერისტისაც. ჩვენ უნდა დავიცვათ ფლოტის გული, რომელიც შემდეგში შესაძლებელი იქნება გაიზარდოს. ამას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული სერიოზული ყურადღება მთავარ პოლიტ-განათლების ორგანოებმა, რომლებიც ახლო არიან ფლოტთან.

მე ვათავებ და ვიტყვი ორიოდე სიტყვას არმიის განვითარების პერსპექტივების შესახებ. ჩვენ პროგრამაშია არმიის მილიციონური ტენდენცია, ე. ი. გვინდა შევქმნათ ისეთი არმია, რომელსაც მზად ჰყავს მხოლოდ კადრი. ცვალებად შემადგენლობას ის არ აცილებს შრომას და საჭიროების დროს კი ამ ელემენტებით ავსებს კადრს. და რისგან არის დამოკიდებული მილიციონურ არმიის ტიპზე გადასვლა? ეს დამოკიდებულია რამდენიმე მიზეზებზე და მათ შორის უმთავრესია მუშათა კლასის და გლეხობის დამოკიდებულება და საწარმოვო ძალების, კერძოდ ტრანსპორტის მდგომარეობა. იმისთვის, რომ არმია გადავაკეთოთ მილიციად, ცვალებადი შემადგენლობის მობილიზაციის შემდეგ უნდა შეგვეძლოს მისი ნაწილის მოკლე ხანში გადაყვანა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ თუ ტრანსპორტი სუსტია საჭიროა უფრო მეტი ნაწილები გვყავდეს მზად.

ჩვენი არმია, როგორც სახელმწიფო მთლიანად, არის მუშათა კლასის და გლეხობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. რამდენადაც მუშათა კლასის და გლეხობის შორის ლოიალური დამოკიდებულებაა და მათ შორის არ არის რაიმე უთანხმოება,—იმდენად მილიციისათვის იქ არსებობს სოციალური საფუძველი.

მაშასადამე მილიციურ არმიაზე გადასვლა, ან ჩვენი არმიის შემცირება და მისი კადრებამდი დაყვანა, ყველა ამის სისწრაფე დამოკიდებული იქნება ჩვენი მეურნეობის წარმატებაზე. თუ მანამდე, სანამ ბურჟუაზია დაემხობოდეს, სანამ ჩვენთვის ის საშიშროებას წარმოადგენს. სანამ მუშები აიღებენ ხელში ძალა უფლებას, ჩვენ მოვასწრებთ ჩვენი ტრანსპორტის აღდგენას და სასოფლო მეურნეობის ფეხზე წამოყენებას. მიუხედავათ ვოლგის შიმშილობის საშინელებისა, ამ მეურნეობის აღდგენის პროცესი უკვე დაიწყო და ის შემდეგშიც განვითარდება თავის გზით. ამის გამო მუშათა კლასის და გლეხობის შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდება, ძმური კავშირი უფრო გამტკიცდება და შესაძლებელი გახდება არმიის შემოკლება მისი თავდაცვითი უნარის შენახვით.

ზოგიერთი ამხანაგები ამბობს: კარგი იქნება არმიის შემოკლება რადგანაც შესაძლებელი გახდება გამოვყოთ უფრო მეტი სურსათი მრეწველობის და კულტურულ დანიშნულებისათვის.

ეს ბუნებრივი მისწრაფებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს განსაკუთრებული წრე, რომლის იქით ობიექტიურ პირობების გამო გადაბიჯება შეუძლებელი ხდება. არმიაში იხატება სავსებით მთელი მხარე, საზოგადოებრიობა, ხალხი რომლებიდანაც თითონ გამოვიდა თავის ძლიერი თუ სუსტი მხარეებით. ის იძულებულია შთანთქოს ნაციონალურ შემოსავლის ძალიან დიდი ნაწილი იმიტომ, რომ ჩვენი ნაციონალური შემოსავალი მეტად მცირეა, და ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ ფუფუნება—პატარა კადრის ხასიათის არმია. ამ ფუფუნებას ჩვენ მივმართავთ, როდესაც გავხდებით უფრო მდიდარი. არმია თავის სულიერი განწყობილებითაც გამოხატავს მის გარშემო არსებულ მდგომარეობას იმ განსხვავებით, რომ ის თავის ხელოვნური შეკავშირებით ქმნის მარჯვე პირობებს იდეური ზედგავლენისათვის.

როდესაც 1920 წლის ახალგაზრდა გლეხს ვაშორებთ გლეხურ ცხოვრებას და ვაახლოებთ მუშა-კომუნისტთან, ამით ჩვენ პირობებში ვამზადებთ ნაყოფიერ არენას კომუნისტური ზეგავლენისათვის. აი, რატომ მოითხოვს ჩვენი სამხედრო უწყება, რომ სამხედრო ბეგარა არ იქნეს გაუქმებული. ჩვენ გავიწვევთ კიდევ 1900-1901 წლების ახალგაზრდებს. ახალი თაობისათვის ყაზარმები უნდა შეიქნეს არა თუ ნამდვილი სამხედრო, არამედ პოლიტიკური ცოდნის და აღზრდის სკოლაც, ამიტომ სამხედრო ბეგარა უნდა შეეხოს იმათაც, რომლებიც სწავლობენ ან აპირებენ უმაღლეს სასწავლებელში შესვლას. თუ ისინი უმცროს კურსზე არიან და უმაღლეს სასწავლებლის გათავებამდი ბევრი დროა, უნდა გავიწვიოთ წითელ არმიაში. არავითარი გამონაკლისი—რომ სამხედრო ბეგარას არ დაუწყონ ყურება, როგორც ძველ უღელს. ამის მიღწევა შეიძლება ყაზარმების გაუმჯობესებით, შინაური ატმოსფერის გაწმენდით და და აგრეთვე იმით, რომ უფრო პრივილეგიური, უფრო განათლებული ახალგაზრდები არ უნდა სარგებლობდეს გამონაკლისით. და აქ თქვენი დახმარება 1900-1901 წლების ახალგაზრდების გასაწვევათ იქნება მეტად საჭირო.

საერთო პოლიტიკური მხრით ჩვენ განვიცადეთ კრიტიკულ ხანას ამ წლის თებერვალში და მარტში, კრონშტადის და ტამბოვის აჯანყების და კანონმდებლობის გარდატეხის დროს. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ საერთო პოლიტიკური საფრთხე და კრიტიკული პერიოდი გავიარეთ. მაგრამ არმია საზოგადოების ნატეხს წარმოადგენს და მაში ისახება გარდატეხის ყოველი მხარე. განწყობილება არმიაში კარგია, მისი გამტკიცება შეიძლება, მაგრამ ეს თავის თავად არ მოხდება. თუ განმეორდება ის, რაც იყო წარსულ თვეებში: ძალების და ყურადღების ჩამოშორება, არმია დასუსტდება, რადგანაც ის არ არის ცალკე პირების მექანიკური კრებული, არმია არ არის შტატი ან განსაზღვრული რიცხვი ზარბაზნების, ტყვიის მფრქვეველების და შტიკების. არმია არის ფსიქიური, იდეური, მორალური კავშირი ცოცხალი ხალხის. ეს კავშირი—განსაკუთრებულია, სულიერია; სამხედრო კავშირი იქმნება გამოცდილების, ბრძოლის, მსხვერპლის, წამების, აღზრდის, მაგალითის და სხვ. გზით ეს დაგროვილი კაპიტალია. მისი შეგროვება 10,100-ჯერ უფრო ძნელია ვიდრე გაფლანგვა.

მე გთხოვთ თქვენ, რომ თქვენი მუშაობით დაეხმაროთ ჩვენი წითელი არმიის დაგროვილ იდეიურ კაპიტალის შენახვას (გაცხოველებული ტაში).

საქ. წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 31

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

კავშირების გაწმენდა

ცეკას პლენუმის დადგენილებით, გადაწყვეტილია მოხდეს კავშირის გაწმენდა. ამისთვის უკვე შედგენილია სამაზრო გამწმენდი კომისიები რომლებიც 1 დეკემბრიდან დაიწყებენ თავის მოქმედებას.

გაწმენდისთვის აუცილებელი ინსტრუქცია ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მიერ გამოშუშავებულია. ასე რომ სულ 4—5 დღის შემდეგ თითქმის ყველა მაზრებში დაიწყებენ ეს კომისიები თავის მოვალეობის შესრულებას. თუ რამდენათ საჭირო და აუცილებელი დღეს კავშირისთვის გაწმენდა, თუ რამდენათ მოსაწონია ეს ნაბიჯი ამაში ეჭვს გარეშე ყველა დაგვეთანხმება. ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ ფაქტიური ლეგალიზაციის ე. ი. (საბჭოთა დროის ლეგალიზაციის და არა მენშევიკების) პირობებში ყოფნამ და განსაკუთრებით კი თვით გადატრიალებამ სხვა უამრავ დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი შედეგი მოუტანა კავშირს, მით რომ მისი შემადგენლობა რიცხვით საგრძნობლათ გაიზარდა, მხოლოთ თვისებითი მხარე რამოდენიმეთ შეირყა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 4—5 თვის უკან ვლაპარაკობდით და ვწერდით ამ მიზნით მოხდა პერერეგისტრაცია, ანუ როგორც მაშინ უწოდებდით კავშირის გენერალური გაწმენდა. მაშინ შეიძლება ამას არ ვაქცევდით იმდენ ყურადღებას, როგორც დღეს არ მოვითხოვდით ისეთ რადიკალურ გადაშინჯვას, შემოწმებას და გაწმენდას, როგორც დღეს, როდესაც ეს კითხვა მთელი თავისი სიდიდით წამოჭრილია ჩვენს წინაშე, არა იმიტომ, რომ ჩვენი უფროსი ამხანაგები, პარტია, აწარმოებს ამ გაწმენდას და ჩვენც ისე, არის თუ არა ეს საჭირო მაინც მივბაძოთ მათ, არამედ პარტიაზე უფრო ეს საკითხი ჩვენ ორგანიზაციაში იყო კარგა ხანია და არის მომწიფებული. მთელ საბჭოთა ფედერაციაში სწარმოებს გაწმენდა პარტიისა და მათ შორის საქართველოშიც, მხოლოდ კავშირის გაწმენდას ვაწარმოებთ მხოლოდ კავკასიაში, რადგან ყველაზე მეტათ აქ არის საჭირო ის.

ამიტომ მთელი ყურადღება ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებისა, სადაც კი ეს კომისიები დაიწყებენ მოქმედებას, უნდა იქნეს მიქცეული სწორეთ იქითკენ, რომ რაც შეიძლება კანონიერად, დაკვირვებით და აუჩქარებლათ ჩატარდეს კომისიების მუშაობა, რომ ყოველი მათი განაჩენი, ყოველი მათი დადგენილება ყოველგვარ ეჭვს მოკლებული იქნეს.

რაში გამოიხატება სახელდობრ დახმარების აღმოჩენა ორგანიზაციების მხრივ ამ კომისიისადმი? ეს გამოიხატება იმაში, რომ ყოველი წევრი ორგანიზაციისა ვალდებულათ უნდა თვლიდეს თავს, თუ კი მას აინტერესებს ოდნავ მაინც ჩვენი კავშირის ბედ-იღბალი, რომ მიუკერძოებლათ, დაუფარავათ და სრული სამართლიანობის დაცვით მისცეს სწორი ინფორმაცია, ჩვენება ორგანიზაციის წევრზე, რომელზედაც კი მას შეუძლია რაიმე სთქვას. ვინ იცის რაიმე ცუდი, არაკომუნისტური. სახელის გამტეხი მოქმედება კავშირის რომელიმე წევრის შესახებ და მას დროზე არ იტყვის, არ გამოამჟღავნებს, არ აცნობს სადაც ეს საჭიროა, ის ყველაზე უწინ უნდა იქნეს გაძევებული კავშირიდან, ის ყველაზე მეტი მტერია კავშირის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების, რომლებიც ასეთი ნდობით და იმედით შეყურებს ჩვენს გაერთიანებას. ეს უნდა დაიმახსოვროს ყოველმა წევრმა კავშირისამ და ერთი წუთითაც არ დაივიწყოს ის.

ამხ. ფ. მახარაძე სწერდა ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც ეხებოდა პარტიის გაწმენდას რომ მუშები და გლეხები, ყოველთვის უფრო მეტ მიუდგომლობას იჩენენ ვინემ ინტელიგენტები, რომლებიც ხშირად რაღაცა მიზეზების გამო არ აძლევენ არა კომუნისტურ მოქმედებას თავისი ამხანაგისას ან საერთოდ თავის თანამოძმე ინტელიგენტებისასო.

ეს არ უნდა მიეღო და არც მიიღებდა, როგორც უტყუარ ფაქტს, შეურაცყოფათ პარტიის ინტელიგენტური ნაწილი. ისევე რამოდენიმეთ და უფრო მეტათ ითქმის ახალგაზრდა—ინტელიგენტ კომუნისტების შესახებ. ე. ი. კავშირში მყოფ მოწაფეთა შესახებ. ჩვენც შეგვიძლია დავადასტუროთ ამხ. მ. ხარაძის ზემო მოყვანილი დებულება იმ მაგალითებით, რომლებიც ხშირათ ხდებოდა ჩვენს კავშირის ნახევრათ გაწმენდის დროს. ჩვენც ვუტყვით მას, რომ ახალგაზრდა მუშები და გლეხები ჩვენი კავშირისა ყოველთვის უფრო მეტი გაბედულებით, აშკარათ აღნიშნავდნენ უარყოფითი მხარეებს თავის ამხანაგისას, ვინემ უფრო გათვითცნობიერებული ელემენტები. ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა იმ განმარტებების და ახსნის შემდეგ, რომელსაც გააკეთებს სადაც ეს საჭირო იქნება გამწმენდ კომისია, ასეთ არა სასურველ მოვლენებს ჩვენში ადგილი არ ექნება და რაც უფრო შევეცდებით ყველა იმ უარყოფითი მხარეების დროზე მოკვეცას, რომელზედაც ზევით გვქონდა მსჯელობა, იმდენათ დავამტკიცებთ ჩვენ მოწადინებას, სიმწიფეს, რომ გვხვდეთ ღირსი ახალგაზრდა კომუნისტის სახელის ტარებისა.

ეს უნდა იცოდეს თვითეულმა მუშამ, გლეხმა, თუ ინტელიგენტმა კავშირის წევრმა და საჭიროთ სცნოს მისი არა მარტო გაგონება არამედ მისი შესრულება და ცხოვრებაში გატარება.

რაც მეტათ შევიგნებთ ამ უდაო ჭეშმარიტებას, იმდენად გაუადვილებთ მუშაობას გამწმენდ კომისიებს, იმდენათ გავამართლებთ იმედებს კავშირის გაჯანსაღებაზე, მისი შეიძლება რიცხვით შემცირებაზე, მაგიერათ თვისებითი ამაღლებაზე და მეტი გაწმენდილი, გამაგრებული და დარაზმული შევხვდებით ჩვენი მრავალ ტანჯული ორგანიზაციის მეორე ლეგალურ ყრილობას, რომელიც დიდ ხანს არ დაიყოვნებს გაწმენდის შემდეგ.

დ. ზ.

ოცი ნოემბერი თბილისში

20 ნოემბერს შესრულდა ოთხი წელი კომკავშირის დაარსებისა საქართველოში. ეს არის დღე კავშირის ოთხი წლის ნამუშევრის, მისი ახალგაზრდულ რევოლიუციონური მოღვაწეობის მოგონების. ამ დღეს იზეიმა საქართველოს კომუნისტურ კავშირმა თბილისში.

წინა დღით 19 ნოემბერს თბილისის ოთხ-ვე რაიონში მოხდა პარტიის და კავშირის გაერთიანებული კრება ნიშნათ მათ შორის მჭიდრო კავშირისა. 20 ნოემბერს დილით 10 საათზე ყველ რაიონიდან იკრიბება კავშირის წევრნი მიხაილოვის პროსპექტზე, რომლებსაც უერთდება ქართულ სამხედრო სკოლის მოწაფეები. იქიდან გაემგზავრენ თავიანთი მუსიკით რუსთაველის პროსპექტზე, სადაც დახვდნენ მათ და დაეწყვნენ აღმოსავლეთ ბრიგადის სამხედრო სკოლის მოწაფენი ცენტრალურ კომიტეტის შენობის წინ. რიგ-რიგათ შევიდნენ სახელმწიფო საოპერო თეატრში. აქ თბილისის ორგანიზაციის გაერთიანებულ სხდომას ხსნის ცენტრალურ კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ძნელაძე, რომელიც აღნიშნავს კავშირის ოთხი წლის მუშაობის ისტორიას მენშევიკურ რეჟიმის ხანაში და რევოლიუციონური მთავრობის დროს. ხაზს უსვამს ს. კომუნისტური კავშირის ავანგარდს თბილისის ორგანიზაციის ღვაწლს ამ მუშაობაში და ცენტრალურ კომიტეტის სახელით უძღვნის მას წითელ დროშას და უსურვებს მის გამარჯვების კარამდე მიტანას. (ტაში) მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენელი ორგანიზაციის სახელით ამხ. კალანტაროვი ფიცს სდებს, რომ ის როგორც აქამდის იდგა წინა რიგებში და ერთი წამითაც უკან არ დაიხევს, აწიც მაღლა აწევს წითელ დროშას და მიიტანს ბრწყინვალე გამარჯვებამდე. (ტაში).

შემდეგ სიტყვას ამბობს პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი მ. ორახელაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რა კავშირის როლს და მნიშვნელობას რევოლიუციაში— ამბობს რომ საქართველოს კომუნისტური კავშირი ღირსეულათ ასრულებდა თავის როლს, და მხარში უდგა კომუნისტურ პარტიას ეკლიან გზაზე მსვლელობაში, მაგრამ უფროსი ამხ. ვერ ვუწევდით სათანადო დახმარებას დღემდე სხვა და სხვა მიზეზების გამო და დღეიდან კი ეს უფროსების მიერ არ განმეორდება. უსურვებს ახალგაზრდობას ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას (ტაში) მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს შემდეგ სიტყვას ამბობს თბილისის კომიტეტის სახელით ამხ. დუმბაძე, რომელიც მოკლეთ აღნიშნავს კავშირის მოვალეობას, და უთითებს ახალგაზრდობის იმ წითელ დროშაზე, რომელიც მაშინ ექნა ჩაბარებული თბილისის კომიტეტზე, რომ ის უშიშრათ იქნას მიტანილი გამარჯვებამდე.

შემდეგ სიტყვას ღებულობს თბილისის პროფკავშირთა წარმომადგენელი ამხ. ვირაპი, რომელიც უხსნის და უთვალისწინებს ახალგაზრდობას საწინაო მუშაობაზე, მის მსვლელობაზე და მოხმარებაზე.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვას ღებულობს ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ბ. ადამაძე რომელმაც ფართოდ აღნიშნა კავშირის ამ ოთხი წლის ნაყოფიერი მუშაობა, და განუმარტა დამსწრე ახალგაზრდობას როგორც მნიშვნელობა ნაყოფიერ მუშაობისადმი ისე მათი კეთილ-ქცეობის მიღწევისადმი. აღნიშნა დამღუპველი შედეგები ყოფილ მენშევიკების პოლიტიკისა კავშირისადმი შეადარა იგი კომუნისტურ საქმიანობას და ხაზი გაუსვა მენშევიკების მოღალატობას, ამცნობს მათ თუ რა ძნელი პირობებში უხდებოდა კომკავშირს მუშაობა რის შემდეგ მოუწოდა მშრომელ ახალგაზრდობას მომავალ ბრძოლებისაკენ.

უკანასკნელი მისასალმებელი სიტყვას ღებულობს რუსეთის კავშირის წარმომადგენელი ამხ. კარასიკი, რომელმაც ილაპარაკა რუსეთის და საქართველოს ახალგაზრდათა დამოკიდებულებაზე და მისი მნიშვნელობაზე.

რის შემდეგ კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით; მთელი კრების შემადგენლობა მიდის ალექსანდრეს ბაღში, სადაც კომუნისტურმა კავშირმა თავის მოღვაწეობის 4 წ. თავს აღსანიშნავათ საფუძველი ჩაუყარა კარლ ლიბკნეხტის ძეგლს; თავის უძვირფასეს მასწავლებელს სპარტაკს დამაარსებელს და გმირს პროლეტარულ რევოლიუციისას, რომლის ხსოვნაც აღბეჭდილია ყველ ახალგაზრდა მუშის მეხსიერებაში და განსაკუთრებულ ხსოვნის მქონე ვარსკვლავივით ანათებს მათ გულში.

ამ ძეგლის წინ გამოვიდა რიგი ორატორებისა კომუნისტური კავშირიდან და პარტიიდან რის შემდეგ ამხანაგები ერთმანეთს დაშორდნენ.

საღამოს ექვს საათზე სახალხო სახლში გაიხსნა საზეიმო სხდომა. კომუნისტურმა კავშირმა არ დაივიწყა თან მებრძოლნი ამხანაგები, რომლებიც ემსხვერპლენ პროლეტარულ რევოლიუციას, და სხდომის გახსნისას ფეხზე ადგომით მათ პატივსცა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა რევოლიუციონური მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. ბ. მდივანმა (მის გამოსვლისას გაისმის განუწყვეტელი ტაშის ცემა) ის მოგვმართავს შემდეგი სიტყვებით: „ამხანაგებო ბრძოლაში და გამარჯვებაში, მოგილოცავთ თქვენი მოღვაწეობის ოთხი წლის თავის დღესასწაულს. ეხლა ჭეშმარიტებად ხდება, რომ კომუნიზმს არა აქვს საზღვარი, რომ ის წვდება ყოველგან. ისტორიის შორის და მის ფესვების ქვეშ ისხვრევა ძვლები დამარცხებული მტრების. მას ფართე მინდვრებზე მიყავს ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელმაც უნდა გამოაცოცხლოს ჩვენი სისხლი და დაიკავოს ჩვენი ადგილი.

მე მახსოვს ახალგაზრდა კომუნისტები, რომელნიც სიხარულით მიდიოდნენ ბრძოლის ველზე. მათ იპყრობდა წყურვილი სხვისი ბედნიერებისათვის მსხვერპლათ შეწირვის. მაშინ ჩვენ ვამბობდით „ძველი ქვეყანა ვერ იარსებებს, არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი აღდგენა“.

სიმამაცე, დაუღალავი, დაუმარცხებელი ახალგაზრდა მებრძოლის სტიქია მაგრამ როდესაც ახალგაზრდა მებრძოლს უხდება ყოველ დღიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება მაშინ ეცემა ენტუზიაზმი და ძალა.

ჩვენი ახალი ტაქტიკის წარმოებაში როდესაც ჩვენ გვიხდება ვინტოვკის წმენდა და მისი მოქმედება საჭიროა მოთმინება, შეურყეველი, რწმენა ჩვენი მსვლელობის სიწმინდეში და საბოლოო მიზნების მიღწევაში ეხლა თქვენ უნდა შეუდგეთ პროლეტარულ მეცნიერების შესწავლას, თქვენ მოვალენი ხართ შექმნათ საფუძველი პროლეტარული ცოდნის, გამოასწოროთ პროლეტარული „მოძრაობის შეცდომები და დააჩქაროთ ბურჟუაზიის დასამარება“.

„გაუმარჯოს შეგნებას პროლეტარულ რევოლიუციისას“.

„გაუმარჯოს ყოველდღიურ შრომას“.

(მხურვალე ტაში, ურას ძახილი, ინტერნაციონალი ისმის დარბაზში). ეს სიტყვები გულის სიღრმეში ჩაწვდა თვითეულ წევრს, და დიდ სარგებლობას მოუტანთ მათ.

შემდეგ გამოდიან პროფესიონალური საბჭოდან და მთავარ პოლიტგანიდან. თბილისის ორგანიზაციიდან ამხ. ოქრუაშვილი და ცენტრალურ კომიტეტიდან ამხ. ძნელაძე. უკანასკნელი მხურვალე სიტყვაში იგონებენ კარლ ლიბკნეხტის ძეგლის საფუძვლის ჩაყრას და იმ მუშაობას, რომელიც აწარმოვა კავშირმა, და განსაკუთრებით თბილისის ორგანიზაციამ მენშევიკურ რეჟიმის დასამხობათ.

და დღეს როდესაც ის განთავისუფლებულია ყოველგვარ დაბრკოლებებისაგან და ცხოვრობს საბჭოთა ხელისუფლების თავისუფალ პირობებში, დღეს ის მეტად ვიწრო [illegible] თავის მტრებს, რომ მის რიგებში დარაზმული მშრომელი ახალგაზრდობა უფრო მეტი გაფართოებით დაიცავს ამ წესწყობილებას.

დამსწრე.

მისალმება

ცაგერიდან.

20 ნოემბერს დილით 12 საათზე გაიხსნა დაბა ცაგერში ახალგაზრდათა კომკავშირის ოთხი წლის თავის ზეიმი. კრებამ მოისმინა რა მთელი რიგი ამხანაგების მოხსენება ლეჩხუმის მაზრის მშრომელი ხალხი და მთელი ახალგაზრდობა გიძღვნით გულწრფელ სალამს. ფიცსა ვსდებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ საბჭოთა ძალა უფლების გამტკიცებისათვის. ჩვენ ყოველთვის მზათ ვიყავით და მზათ ვართ ვებრძოლოთ სიკვდილის დღემდე ჩვენს მტრებს, რადგანაც ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს. მაშ გაუმარჯოს ახალგაზრდობას, გაუმარჯოს მათ უფროს ხელმძღვანელ ამხანაგებს, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

მისალმება საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტების კავშირს.

1-ლი ტუშეთა და გლეხთა საძირითადო ლეგიონის წითელ არმიელთა საერთო კრება. გილოცავთ თქვენ, საქართველოს პროლეტარულ ახალგაზრდობას თქვენი ბრძოლის 4 ხი წლის თავს. ის წითელი დროშა, რომელსაც თქვენ მედგრათ ატარებდით 4 ხი წლის ბრძოლის განმავლობაში გისურვებთ ისევე მედგრად ატაროთ იქნამდე სანამ არ განხორციელდება დიადი მიზანი პროლეტარიატისა.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს.

გაუმარჯოს კომუნისტურ ახალგაზრდათა ინტერნაციონალს.

თავმჯდომარე: ხელის მოწერა.
მდივანი: ხელის მოწერა.
დედანთან სწორია.

თბილისის კომკავშირის ცეკას,

კომუნისტური კავშირი დუშეთის მაზრისა უგზავნის მხურვალე სალამს კომუნისტური ახალგაზრდობის ხელმძღვანელს—ცენტრალურ კომიტეტს. რევოლიუციონური ახალგაზრდობა დუშეთის მაზრისა გილოცავს თქვენ ჩვენი კავშირის ოთხი წლის არსებობის თავს და იხსენებს რა გმირულ და სახელოვან ბრძოლას მშრომელთა დიქტატურის გასამარჯვებლათ, ის ფიცსა სდებს სახელოვან კომუნისტურ პარტიასთან ერთად ბრწყინვალე გამარჯვების ბოლომდე იბრძოლოს მუშათა კლასის ყოველგვარ მტერთა წინააღმდეგ.

კომუნისტური სალამით დუშეთის სამაზრო კომიტეტი.

რითი ავხსნათ?

არავითარი მტკიცება არ სჭირდება მას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პრესას საერთოდ. პრესა არის წერილობით გამცნობი, გადმომცემი ყოველივე მისი, რასაც ყოველივე ჩვენთაგანი ისე ძნელათ ან ძლიერ დაგვიანებით გაიგებს. მაგრამ, რაც მთავარია, პრესა დღევანდელ ვითარებაში სარკეა ამა თუ იმ ჯგუფის, ამა თუ იმ პარტიის, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ძალის ცხოვრების, მისი მოქმედების, ყოველგვარი მუშაობის, მისი უარყოფით და დადებით მხარის აღმნუსხველი და გამომხატველი. რა მნიშვნელობა აქვს მაგალითად ჩვენს პრესას, „ფურცელს“ ჩვენი კავშირისთვის? მას აუცილებლათ დიდი მნიშვნელობა აქვს, იმ მხრივ, რომ მის საშუალებით შეძლება გვეძლევა ვაწარმოოთ ყოველგვარი სჯა ბაასი კავშირის მრავალ მხარეების შესახებ, მისი ზოგიერთ ცვლილებების, მასში ყოველდღიურ ორგანიზაციულ მუშაობის საწარმოებლათ, ამა თუ იმ ორგანიზაციის მისაბაძ თუ დასაგმობ მოქმედებების შესახებ, მისი კითხვების გადასაწყვეტათ და სხვა მრავალმნიშვნელოვან დიდ თუ პატარა კითხვებზე, რომელიც არკვევს და ათვითცნობიერებს ყოველ წევრს კავშირისას.

ამ მიზნით არის სწორეთ, რომ როგორც ცენტრში ისე ზოგიერთ მაზრებშიაც გამოდის პარტიული კომიტეტების ორგანოს უკანასკნელ გვერდზე „ფურცლები“. თავიდან ჩვენს „ფურცლებს“ ყოველგან ერთი დიდი უარყოფითი მხარე ახლდა თან ეს იყო ის, რომ ორგანო ხდებოდა რამოდენიმე ამხანაგების მონოპოლიად.

კავშირის ფართო მასა მასში დიდ და ხშირად თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ეს ბევრჯერ შეგვიმჩნევია და ბევრჯერ გვცდია ამისათვის როგორმე ბოლო მოგვეღო, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოხერხებულა. ყველაზე მეტი არა სასიამოვნო სახე მიიღო ამან ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც, აშკარათ უნდა ვსთქვათ, არაჩვეულებრივმა სიზანტემ, საქმისადმი გულგრილობამ მოიცვა ფეხი ჩვენს პროვინციელ ამხანაგებში, მაშინ, როდესაც თვითოეული მაზრის პასუხისმგებელი კორესპონდენტი უნდა აგზავნიდეს ყოველ კვირეულათ მოკლე ცნობას, კორესპონდენციას ორგანიზაციების მდგომარეობის, მათი ვითარების შესახებ მთელ მაზრაში.

ის არ ხდის ვალდებულათ თავს თხუთმეტ დღეში, ერთხელ მაინც შეასრულოს ეს. რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ცენტრალურ ორგანოს „ფურცელს“ არავითარი მასალები პროვინციიდან, რომელიც ეხებოდეს ჩვენი კავშირის ცხოვრებას, ერთ თვეზე მეტია, რაც არ მოსვლია, როგორც სამაზრო, აგრეთვე რაიონულ კორესპონდენტებისაგან. ნუ თუ მთელი კვირეების და თვის განმავლობაში ამა თუ იმ მაზრის, ან რაიონის ორგანიზაციას არაფერი გაუკეთებია. ნუ თუ არ აინტერესებს ჩვენს პროვინციელ ამხანაგებს, რომ ყველამ იცოდეს, თუ როგორ სწარმოებს იქ ორგანიზაციული მუშაობა, როგორ მდგომარეობაშია ის. ნუ თუ არ არის საჭირო გამოგზავნა მოკლე ცნობისა იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობა მიიღეს კავშირებმა ადგილობრივ ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის აღსანიშნავათ, როგორ შეხვდა მას ჩვენი ორგანიზაცია და სხვა. ან სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ რამოდენიმე დღის წინეთ ჩვენ ვიდღესასწაულეთ აგრეთვე კავშირის არსებობის ოთხი წლის თავი, 20 ნოემბერი. განა ყოველი ეს არ აინტერესებს ჩვენს პროვინციელ ამხანაგებს? ყოველივე ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ მით, რომ ამ უკანასკნელ ხანებში პროვინციელი ამხანაგები სრულებით არ ზრუნავენ თავიანთ პრესაზე. ეს გარემოება ძლიერ სამწუხაროა და მას დროზე უნდა მოეღოთ ბოლო.

მოვუწოდებთ პროვინციელ ამხანაგებს ძილიდან გამოერკვენ და დროზე შეიგნონ ის მოვალეობა, რომელიც მათზე არის დაკისრებული.

რედაქცია.

შეცდომის გასწორება

წითელი ახალგაზრდობის „ფურცლის“ № 29 მოყვანილია 120,000 წევრთა რიცხვი—უნდა იყოს 12,000. ამავე „ფურცლის“ № 30 ქრონიკაში სწერია: გამოვიდა ჟურნალი „მომავალი“-ს № 1 საიუბილეო, რომლის შემდეგი ნომერი გამოვა 20 ნოემბერს—უნდა იყოს გამოვიდა ჟურნალი „მომავალი“-ს № 1 საიუბილეო, რომლის შემდეგი ნომერი გამოვა 20 დეკემბერს.

---

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი. **ალ. ს. ლარიძე.**
1921 წ. ნოემბრის 18
თბილისი-სასახლე.

ცირკულიარულად

ყველა მაზრის რევკომს.

როგორც ზოგიერთ მაზრებიდან მომდის ცნობები, ადგილობრივ ხელისუფლებათა ორგანოების დასტურით ხდება კომუნალურ განყოფილებების შეერთება ეკონომიურ განყოფილებებთან-უკანასკნელის სახელწოდებით.

გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ არავითარი შემთხვევაში არ იქნეს გაერთიანებული კომუნალური და ეკონომიური განყოფილებები, ვინაიდან აღნიშნულ განყოფილებებს თავთავისი სპეციალი დანიშნულება აქვს, თუ ცხოვრება მოითხოვს მათ გაერთიანებას, ეს უნდა მოხდეს სახელმწიფო უმაღლეს ორგანოს, ე. ი. საქართველოს რევკომის დასტურით.

თუ აღნიშნულ განყოფილებათა გაერთიანებას ქონდა ადგილი, რომელიმე მაზრაში, ეკონომიურ განყოფილების სახელწოდებით, იმ შემთხვევაში წინადადებას გაძლევთ აღადგინოთ კომუნალური განყოფილებები თანახმად 35 № დეკრეტისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს მთავარი გამგის მაგ. **წანეიშვილი.**

24 ნოემბერი 1921. წ.
ქ. თბილისი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—[illegible]ვილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible]ლე ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო — [illegible]

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის

პარტიული

— კვირას 27 ნოემბერს შესდგება კრება მბეჭდავთა კავშირის კომფრაქციის ყველა წევრების და კანდიდატებისა, კავშირის ბინაზე, დილის 10 საათზე.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა, რადგანაც გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები.

ბიურო.

ს. ს. ს. რ. ჯარების პოლიტ. განათლების სალიტერატურო სექცია წითელ-არმიელთა კლუბში ხსნის დეკემბრის პირველ რიცხვებში

მხატვრულ ლიტერატურის

სტუდიას

ჯარების ნაწილებში არსებულ ლიტერატურულ წრეების ხელმძღვანელთ ევალებათ დაჩქარებით წარმოადგინონ სიები შევსებულ საანკეტო ბარათებით.

მსურველთა ჩაწერა სწარმოებს ცენტრალურ კლუბში.

სექციის გამგე.

ჟურნალი „ქურა“

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა“ იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

[illegible]